



EUROPEAN
COMMISSION

ბრიუსელი, 18 დეკემბერი, 2015
(2015) SWD 299 final

ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი,
რომელიც თან ახლავს დოკუმენტს

„მეოთხე მიმდინარე ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის
ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ“

1. შესავალი

ევროკომისიის აპარატის წინამდებარე სამუშაო დოკუმენტი (შემდგომში „სამუშაო დოკუმენტი“) თან ახლავს მეოთხე მიმდინარე ანგარიშს საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.¹

სამუშაო დოკუმენტში, ანგარიშთან ერთად, მოცემულია დეტალური ანალიზი იმ უახლესი მოვლენებისა, რომლებიც ეხება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ეტაპის ნიშნულებს, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამისი ღონისძიებების ეფექტიან და მდგრად განხორციელებასთან. წინამდებარე სამუშაო დოკუმენტის დანართში მოცემულია განახლებული შეფასება საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პოტენციური გავლენისა ევროკავშირზე მიგრაციისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით.

სამუშაო დოკუმენტში მოცემულია ფაქტობრივი ინფორმაცია და შეფასება ეყრდნობა იმ ინფორმაციას, რომელიც მოგროვილი იქნა 2015 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში საქართველოში განხორციელებული ევროკავშირის შემფასებელი მისიის ვიზიტისას. მისიაში მონაწილეობდნენ ექსპერტები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან, ევროკომისიიდან და ევროკავშირის საგარეო სამსახურიდან (EEAS), ასევე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობიდან. დამატებითი ინფორმაცია მოპოვებული იქნა საქართველოს მიერ 2015 წლის 17 აგვისტოს წარდგენილი მიმდინარე ანგარიშიდან (რომლის განახლებული ვერსიები ევროკომისიამ 2015 წლის 22 ოქტომბერს მიიღო) და 2015 წლის აგვისტო-ოქტომბერში განხორციელებული კომუნიკაციიდან.

სამუშაო დოკუმენტი მიჰყვება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის სტრუქტურას. ქვეთავებში, რომლებიც სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ცალკეულ ბლოკებს შეესაბამება, ჩამოთვლილია მეორე ფაზის ყველა ნიშნული და აღწერილია იმ ნიშნულებთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულების მდგომარეობა, რომლებიც მიჩნეული იყო მიუღწევლად მესამე მიმდინარე ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის - 2015 წლის 8 მაისისათვის.

2. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის დარჩენილი ნიშნულებით გათვალისწინებული საქმიანობის შეფასება

2.1. ბლოკი 1: დოკუმენტების უსაფრთხოება, ბიომეტრიის ჩათვლით

დოკუმენტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნიშნული, რომელიც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა მესამე მიმდინარე ანგარიშში², ახლაც შენარჩუნებულია.

¹ COM (2015) ...final.

² COM(2015) 199 final.

2.2. ბლოკი 2: ინტეგრირებული საზღვრის მართვის სისტემა; მიგრაციის მართვა და თავშესაფრის პოლიტიკა

2.2.1. საზღვრის ინტეგრირებული მართვა

საზღვრის ინტეგრირებული მართვის ნიშნული, რომელიც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა მესამე მიმდინარე ანგარიშში, ახლაც შენარჩუნებულია.

2.2.2. მიგრაციის მართვა

- ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შესახებ შეთანხმების, ისევე, როგორც მესამე ქვეყნებთან რეადმისიის შესახებ საქართველოს შეთანხმებების და საქართველოს მოქალაქეების (ნებაყოფლობით თუ იძულებით დაბრუნებულთა) მდგრადი რეინტეგრაციის უზრუნველყოფი ღონისძიებების ეფექტიანი იმპლემენტაციის გაგრძელება

ევროკავშირი-საქართველოს რეადმისიის შეთანხმების კომიტეტმა, რომელმაც 2015 წლის 13 ოქტომბერს ჩაატარა სხდომა, დაადასტურა შეთანხმების მოთხოვნათა უწყვეტი და ეფექტიანი განხორციელება. 2011 წლის 1 მარტიდან, როცა შეთანხმება ძალაში შევიდა, 2015 წლის აგვისტომდე 4587 გადაწყვეტილება იქნა მიღებული ხალხის მიღებაზე, ხოლო 320 ადამიანს უარი ეთქვა. რეადმისიის განაცხადებზე უარყოფითი გადაწყვეტილების წილი სულ უფრო მცირდება, 2011 წელს ის 9.9%-ს შეადგენდა, ხოლო 2015 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში მხოლოდ 3.1.% იყო.

რეადმისიის ელექტრონული მართვის სისტემის ამოქმედებამ 2014 წელს მნიშვნელოვნად გააიოლა კომუნიკაცია რეადმისიის საქმეებზე. ამჟამად ევროკავშირის 13 წევრი სახელმწიფო იყენებს ინტერნეტპორტალს რეადმისიის განაცხადების ასატვირთად და დასამუშავებლად, მაშინ, როცა 2014 წელს სულ სამ სახელმწიფოს ჰქონდა ამოქმედებული ელექტრონული სისტემა.

საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის სფეროში საქმიანობას უძღვება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ხოლო სამინისტროს მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა დეპარტამენტი ამ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკას ახორციელებს და კოორდინირებას უწევს საქმიანობას სხვადასხვა უწყებას შორის. სხვადასხვა სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების მაქსიმალური ეფექტიანობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ყოველი სახელმწიფო უწყება სხვა უწყებებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მომსახურება შესთავაზა საქართველოში დაბრუნებულებს.

საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის ყოვლისმომცველი პოლიტიკა ხელახლა შემუშავდა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ჩარჩოებში, რომელიც 2016 წლის ბოლოს უნდა დამტკიცდეს. სტრატეგიაში ზოგად მიზნად განსაზღვრულია საქართველოს რეინტეგრაციის პოლიტიკის შემდგომი დახვეწა

და მასთან დაკავშირებული პროგრამების გაფართოება. ეს საერთო მიზანი დაყოფილია ცხრა კონკრეტულ მიზნად, რომელთა შორისაა საჭირო დაფინანსებით უზრუნველყოფა, მობილურობის ცენტრების შესაძლებლობათა გაზრდა, საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნებისთვის სარეგისტრაციო სისტემის შექმნა, მონაცემთა დამუშავების გაუმჯობესება და რისკების ანალიზი.

დაბრუნებული ქართველი მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესების გაძლიერების მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. თანხა 40 .000 ლარს შეადგენდა 2015 წლისთვის. სახელმწიფო გრანტებიც გაიცა ექვსი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად, როგორც არის, მაგალითად, ანაზღაურებადი სტაჟირების ხელშეწყობა დაბრუნებული მოქალაქეებისთვის, მათი დროებითი საცხოვრებლით ან ჯანდაცვით უზრუნველყოფა. ჩამოთვლილი პროექტები მსგავსია იმ დახმარებისა, რომელსაც მობილურობის ოთხი ცენტრი უწევს მოქალაქეებს. ცენტრები შეიქმნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვის მიმართულებით“ ფარგლებში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაწეული სერვისებისა და მობილურობის ცენტრების მომსახურების ურთიერთშევისების უზრუნველყოფის მიზნით ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო პირველი უწყებაა, რომელთანაც აქვს შეხება ყველა იმ დაბრუნებულ მიგრანტს, რომელიც სარეინტეგრაციო დახმარებას ითხოვს. როგორც კი ევროკავშირის დაფინანსებული სარეინტეგრაციო დახმარების პროექტი დასრულდება, მობილურობის ცენტრები საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში გადავლენ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ახალი ანალიტიკური დეპარტამენტს 2015 წლის აგვისტოდან დაეკისრა პასუხისმგებლობა ანალიტიკური ანგარიშგების სისტემის შექმნაზე საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების დასადგენად. ეს სისტემა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეადმისირებული პირების შესახებ შეგროვილი ინფორმაციისა და, მეორე მხრივ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დეპორტირებული და ნებაყოფლობით დაბრუნებული პირების შესახებ მოპოვებული მონაცემების გაერთიანებას, რათა აღრიცხული იქნეს დაბრუნებულ პირთა საერთო რაოდენობა. ახალ სისტემაში შევა, აგრეთვე, მონაცემები დაბრუნებულთა განათლების დონეზე, კვალიფიკაციასა და პროფესიულ უნარებზე, ისევე, როგორც მათი რეინტეგრაციისთვის საჭირო მოთხოვნებზე. სამინისტროს რისკების ანალიზის სისტემა, რომელიც ყოვლისმომცველი რისკების ანალიზის სისტემის ნაწილი გახდება (აღნიშნული სისტემა ინსტიტუციურ დონეზე იქმნება), დაამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს დაბრუნებულ პირებთან დაკავშირებით და მოახდენს შესაბამისი რისკების იდენტიფიცირებას.

- მიგრაციის მართვის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანი იმპლემენტაცია, მიგრაციის მართვის ყველა ასპექტში კონკრეტულად განსაზღვრული კომპეტენციების მქონე ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნის ჩათვლით, რომლებიც აღჭურვილი იქნება სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით; ასევე, შესაბამის უწყებებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა

საქართველო განაგრძობს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობას. თითქმის 100 საქმიანობა, რომელიც ამ დოკუმენტებით იყო გათვალისწინებული, შესრულებულია, ხოლო 2016-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მიმდინარე, 2015 წლის დასასრულისთვის დამტკიცდება.

საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება როგორც ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების, ასევე არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეების შესახებ 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა. 2013 წელს საქართველოში დაიწყო საინფორმაციო კამპანია „ლეგალური მიგრაცია - საუკეთესო არჩევანი“. ამ კონტექსტში მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისიამ დაასრულა მუშაობა ლეგალური მიგრაციის შესახებ საინფორმაციო გზამკვლევზე. გზამკვლევი სრულყოფილი საინფორმაციო დოკუმენტია ლეგალური მიგრაციის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ვებგვერდებზე. გზამკვლევი ლეგალურ ემიგრაციაზე 2015 წლის მარტში დაიბეჭდა, ხოლო იმიგრაციის ნაწილი ამავე წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა ძალაში.

კამპანიას „ლეგალური მიგრაცია - საუკეთესო არჩევანი“ დაემატა საინფორმაციო და საკომუნიკაციო სამოქმედო გეგმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით 2015 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდისათვის. სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილია კონკრეტული შესასრულებელი საქმიანობები, კერძოდ, შეხვედრები მოსახლეობასთან როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში; თემატური სემინარების ჩატარება ცენტრალური და რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის და, აგრეთვე, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, და საინფორმაციო კამპანიის ჩატარება (ვიდეოკლიპები, სატელევიზიო და რადიო პროგრამები, საინფორმაციო ფურცლები და ა.შ.). ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის (რომელიც კოორდინირებას უწევს საინფორმაციო კამპანიას) ინფორმაციით, თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში დაახლოებით 200 ღონისძიება ჩატარდა, რომელთა შესახებ საქართველოს 25 000-ზე მეტი მოქალაქისთვის გახდა ცნობილი.

ამას გარდა, უზრუნველყოფილია კომუნიკაცია საქართველოს მოქალაქეების უფლება-მოვალეობებზე ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დროს სხვადასხვა ვიდეოკლიპის, სოციალური მედიისა და საინფორმაციო ფურცლების მეშვეობით.

ინფორმაციის გავრცელების პროცესში ჩართულია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიც. ის ორგანიზებას უწევს დიასპორის შეხვედრებს და მონაწილეობს ამ შეხვედრებში, ამასთან, ქართული დიასპორის ვებგვერდზეც შესაბამის ახალ ინფორმაციას ანთავსებს. 2015 წელს აპარატმა შვიდი შეხვედრა ჩაატარა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. შეხვედრებში ქართული დიასპორის 2000-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მათ დაურიგდათ ინფორმაცია მიგრაციის საკითხებზე და რეინტეგრაციის შესაძლებლობებზე.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ისეთი პროექტების ფარგლებში, როგორცაა ENIGMMA (საქართველოში მიგრაციის მართვის გაძლიერება) ან „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობათა გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვაში“, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების რამდენიმე აქტივობა ჩატარდა, ხოლო ახალ საინფორმაციო კამპანიას არარეგულარული მიგრაციის პრევენციის საკითხებზე ბელგიის მთავრობა აფინანსებს. კიდევ რამდენიმე აქტივობაა დაგეგმილი 2014-2017 ევროკავშირთან ინტეგრაციისა და კომუნიკაციის სტრატეგიის და 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ფარგლებში.

რაც შეეხება საკანონმდებლო საქმიანობას, 2015 წლის 8 მაისს საქართველოს კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ შევიდა ცვლილებები, რომელთა ძალით საქართველოში უვიზოდ ყოფნის პერიოდი 90 დღიდან ერთ წლამდე გაიზარდა. 2015 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება №417 „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის შესახებ“.

➤ **საქართველოს მიგრაციული სურათის შექმნა და რეგულარული განახლება, ასევე მიგრაციული ნაკადების შესახებ მონაცემების ეფექტიანი ანალიზი**

საქართველოს მიგრაციის სურათი 2015 წლისთვის მომზადდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მხრიდან კოორდინაციით. ის დამტკიცდება 2015 წლის ბოლოსთვის. მიგრაციის სურათი აგებულია ოთხი მიმართულებით, ესენია: მიგრაციული ტენდენციები, მიგრაციის ზემოქმედება, მიგრაციის მართვა და ძირითადი შედეგები და რეკომენდაციები. მიგრაციის სურათი 2016 წლის დასაწყისისთვის განთავსდება სამთავრობო კომისიისა და სხვა უწყებების ვებგვერდებზე და გამოქვეყნდება ინგლისურ და ქართულ ენებზე. სურათის განახლება ორ წელიწადში ერთხელ მოხდება.

- არალეგალურ მიგრანტთა შიდა გამოვლენის შესახებ მეთოდოლოგიის თანმიმდევრული იმპლემენტაცია, რისკების ანალიზი (სათანადო უწყებების ინფორმირებისა და ყველა ადმინისტრაციულ დონეზე ანალიზის წარმოების ჩათვლით) და ორგანიზებული, გამარტივებული არალეგალური მიგრაციის შემთხვევების გამოძიება, სათანადო უწყებებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის ჩათვლით

არალეგალური მიგრანტების გამოვლენა ხდება პოლიციის მიერ მიმდინარე შემოწმების დროს ან სახელმწიფო უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. 2015 წლის 15 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა საოპერაციო პროცედურის სტანდარტი არალეგალური მიგრანტის გამოსავლენად. თუკი დადასტურდა, რომ უცხოელი არალეგალურად იმყოფება საქართველოში და არ არსებობს მისი დაკავების საფუძველი, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს მიგრაციის დეპარტამენტში არა უმეტეს ხუთი დღის განმავლობაში. თუკი მიგრანტი დადგენილ ვადაში არ გამოცხადდება დეპარტამენტში და მას საპატიო მიზეზი არ ექნება, ის დაექვემდებარება დაკავებას. 2015 წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე პოლიციის მიერ გამოვლენილი იქნა 24 არალეგალური უცხოელი.

მიგრაციის საკითხების სამთავრობო კომისიამ 2015 წლის 25 სექტემბერს დაამტკიცა მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემის კონცეფცია 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმასთან ერთად. დოკუმენტი მიზნად ისახავს რისკების ანალიზის კონცეფციის (რომელიც ამჟამად მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ეხება) გავრცობას მიგრაციის ყველა სფეროზე.

ამ მიზნით შვიდი სახელმწიფო უწყება ჩაერთვება რისკების ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვებასა და გადამუშავებაში. ეს უწყებებია: შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისის მართვის საბჭო. ამ უწყებების მიერ მომზადებული ანალიტიკური ანგარიშები მოიცავს მიგრაციასთან დაკავშირებულ ყველა სახის რისკებს რეგულარულ თუ არარეგულარულ მიგრაციასთან, საზღვრის გადაკვეთასა და ორგანიზებულ დანაშაულთან, თავშესაფართან, საქართველოს მოქალაქეების დაბრუნებასა და რეინტეგრაციასთან მიმართებაში, უცხოელთა ინტეგრაციისა და შიდა მიგრაციის თანხმლებ რისკებს. ეს ანგარიშები პრაქტიკული ინსტრუმენტის როლს შეასრულებს რისკების იდენტიფიცირებაში, საფრთხეების პროგნოზირებაში და ადეკვატური ზომების დადგენაში.

მიგრაციის რისკების საერთო ანალიზი განხორციელდება რიგი ელექტრონული საშუალებების დახმარებით. ერთიანი მიგრაციის ანალიტიკური სისტემა (UMAS) უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვებას იმიგრაციაზე, ემიგრაციასა და შიდა მიგრაციაზე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან. ევროკავშირს თავისი წვლილი

აქვს შეტანილი ხსენებული სისტემის შექმნაში მის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობათა გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვაში“ მეშვეობით. 2015 წლის სექტემბერში გამოცხადდა ტენდერი პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების შექმნაზე და, სავარაუდოდ, 2016 წლის პირველ ნახევარში მოხდება მათი ტესტირება.

- შესაბამისი ინფრასტრუქტურის (დაკავების ცენტრების ჩათვლით) უზრუნველყოფა და პასუხისმგებელი ორგანოების გაძლიერება ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მიგრანტთა უფლებების სრული პატივისცემით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს არალეგალურად მობინადრე და/ან ტრანზიტით მყოფი მესამე ქვეყნების მოქალაქეების საქართველოს ტერიტორიიდან გაძევება

2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის სექტემბრამდე საქართველოში გაიცა 34 გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ. აქედან 21 გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2015 წლის 1 ივლისის შემდეგ, როცა ძალაში შევიდა კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ამავე პერიოდში საქართველოში 18 უცხოელი დააკავეს და განათავსეს დროებით საცხოვრებელ ცენტრში.

2.2.3. თავშესაფრის პოლიტიკა

- თავშესაფრის პოლიტიკის შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფისა და პასუხისმგებელი ორგანოების (პერსონალი, დაფინანსება, სატრენინგო პროგრამები) გაძლიერების ჩათვლით, განსაკუთრებით თავშესაფრის პოლიტიკასთან დაკავშირებული პროცედურების, ასევე, თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა მიღების კუთხით; ამასთან, ჩამოთვლილ პირთა უფლებებისა და ღირსების დაცვა

2014 წლის 23 დეკემბერს შინაგან საქმეთა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრებმა შეცვალეს ერთობლივი განკარგულება N1033-N2975 თავშესაფრის მიღების პროცედურებზე წვდომის დაჩქარების მიზნით. ამ ცვლილებამდე თავშესაფრის მაძიებელი არ იყო პირდაპირ ნახსენები საკანონმდებლო ტექსტებში როგორც კატეგორია, რომლისთვისაც შეიძლებოდა ვიზა მიეცათ ჰუმანიტარული მოსაზრებით. ეს შეცდომა ახალი ცვლილებით გამოსწორდა და ოფიციალურ სასაზღვრო უწყებას მიენიჭა თავშესაფრის მაძიებლისთვის ჰუმანიტარული ვიზის გაცემის უფლება. 2015 წლის 8 ოქტომბერს ასეთი ვიზა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მისცეს პაკისტანელ მოქალაქეს. დანარჩენი პოზიტიური ცვლილებები კანონმდებლობაში გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსში თავშესაფრის მაძიებლებისთვის ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლის გამო

სასჯელის მოხსნის გარანტიას და თავშესაფრის შესახებ განაცხადებისთვის წინასწარი რეგისტრაციის პროცედურის გაუქმებას.

ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურა ამჟამად ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ. მაგრამ ბოლო მიმდინარე ანგარიშში ლაპარაკია უარყოფით გადაწყვეტილებათა საკმაოდ დიდ რაოდენობაზე. ეს გადაწყვეტილებების მიღებული იქნა სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ უსაფრთხოების თვალსაზრისით დადგენილი პრობლემების საფუძველზე. თუმცა სააგენტოს მიზეზები არ გაუმჟღავნებია. საქართველოს მთავრობას მიეცა რეკომენდაცია, რომ საქმეებზე დამოუკიდებლად მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილებები, მკაცრად ინდივიდუალური შემთხვევის საფუძველზე. შედეგად „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლში შევიდა ცვლილება, რომელიც აკონკრეტებს მიზეზებს, რომელთა საფუძველზე თავშესაფრის მაძიებლისთვის უარის თქმა შესაძლებელია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების გამო, კერძოდ, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ თავშესაფრის მაძიებელ პირს კავშირი აქვს საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან, სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან, ტერორისტულ ან/და დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან. ამავე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიაწოდოს ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებლის მხრიდან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის პოტენციური საშიშროების შექმნის თაობაზე, მაგრამ თავად განმცხადებელს უფლება არ აქვს, გაეცნოს გასაიდუმლოებულ ინფორმაციას მის შესახებ.

უამრავი განსახილველი საქმისთვის სპეციალურად შემუშავდა დაუსრულებელი/გადაუწყვეტელი სამუშაოს მართვის სტრატეგია. პირველ რიგში, ჩამოყალიბდა მკაფიო მითითებები უკრაინის დონბასის რეგიონისთვის, ერაყში დაემის კონტროლირებადი ტერიტორიიდან ლტოლვილი იეზიდებისთვის და ისევ ერაყიდან ლტოლვილი სუნიტებისთვის. ამ სახელმძღვანელო მითითებებით, რომელთა საფუძველზე დაინერგა გამარტივებული პროცედურები, და სოციალური მუშაკების პროფესიონალიზმის გაზრდით მკვეთრად შემცირდა იმ საქმეთა რაოდენობა, რომლებზეც გადაწყვეტილებების მიღება ჭიანურდებოდა. მაგალითად, 2015 წლის მარტში 1174 საქმე იყო განსახილველი, ხოლო ოქტომბრისთვის - მხოლოდ 200. მეორე, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების წესების შესახებ“ №100 განკარგულების ახალი დებულება ითვალისწინებს კომისიის შექმნას, რომელსაც, სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, შეეძლება სათანადო მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მითითებების მიღება და დამატებითი ჰუმანიტარული და ფინანსური რესურსების საჭიროებათა იდენტიფიცირება. დაბოლოს, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების

შესახებ კანონის ახალი მე-5 მუხლი შესაძლებელს ხდის *prima facie* პრინციპის მიხედვით მოქმედებას ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელთა მასობრივი შემოდინების შემთხვევაში.

ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომაც მიიღო ზომები იმისთვის, რომ მონიტორინგი განეხორციელებინა საქმეთა განხილვის ხარისხზე. კერძოდ, ხარისხის კონტროლისა და ტრენინგის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნის გარდა, რომელიც დაადგენს კვლევის სფეროში საჭიროებებს და 2016 წლის 1 იანვრიდან სასწავლო-მოსამზადებელ კურსებს ჩაატარებს თანამშრომლებისთვის, სამინისტრომ მიიღო ხარისხის ინდიკატორები სააღრიცხვო სისტემისთვის, განაცხადის შეტანის პროცედურისთვის, ინტერვიუების ჩანაწერებისა და შეფასებისთვის. მისასალმებელია პირადი ინტერვიუების ჩაწერა, რომელიც ახლახან დაინერგა, რადგან გაიოლდება ინტერვიუთა ხარისხის შეფასება.

ტრენინგის კურსები ხელს შეუწყობს ლტოლვილის სტატუსის დადგენის გაუმჯობესებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომლები დაესწრნენ სასწავლო კურსებს, რომლებიც ორგანიზებული იყო ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორც არის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი. სამინისტრომ უკვე გამოთქვა მზადყოფნა, შიდა ტრენინგი ჩაეტარებინა თავისი თანამშრომლებისთვის, რომლებიც განსახილველ საქმეებზე მუშაობენ. სასწავლო კურსი ეროვნულ საჭიროებებს გაითვალისწინებს და ჩატარდება ადგილობრივი მომსახურე პერსონალის მიერ. სამინისტროს ახალი, ხარისხის კონტროლისა და ტრენინგის სტრუქტურული ერთეული პასუხისმგებელი იქნება ეროვნული სასწავლო-მოსამზადებელი პროგრამების შემუშავებაზე. მანამდე კი, და ამ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის დახმარების მიზნითაც, 2015 წლის 29 სექტემბერს მიღებულ იქნა მიგრაციის ტრენინგის სახელმძღვანელო.

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე მომუშავე თანამშრომლებს სემინარზე ესაუბრნენ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გასაანალიზებელ საბაზისო პრინციპებზე. ამას გარდა, ჩატარდა შეხვედრები წარმოშობის მთავარ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზეც. ახალი მონაცემთა ბაზა, რომლითაც დამოუკიდებლად ისარგებლებენ სამინისტროს თანამშრომლები, შეიცავს ინფორმაციას წარმოშობის ქვეყნების შესახებ და შესაძლებლობას აძლევს ამ ინფორმაციაზე მომუშავე ჯგუფს, ელექტრონულად დასვან ნებისმიერი შეკითხვა კონკრეტულ ქვეყნებზე. მათ შეკითხვებს სპეციალისტები უპასუხებენ. სამინისტრომ თანამშრომლობა დაიწყო ამ კუთხით ევროკავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოსთან, მაგალითად, მას უკვე პირდაპირი წვდომა აქვს გერმანიის წარმოშობის ქვეყნების შესახებ საინფორმაციო ბაზაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ჩარჩო შეიცვალა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს

წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაციის გასაანალიზებელი სტრუქტურული ერთეულის დამოუკიდებლობა და, ამასთან, ამ ერთეულის მიერ შექმნილი და პოლიტიკური ხასიათის პროდუქტები განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში თავშესაფრის მაძიებელს ამჟამად 15 დღე აქვს სასამართლოში სარჩელის შესატანად. ადრინდელი - ათდღიანი - ვადა ძალიან მცირე იყო განმცხადებლის მოწყვლადობის გათვალისწინებით და ამიტომ გახანგრძლივდა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებით, მაგრამ ახალი პროექტი თავშესაფრის შესახებ, რომელიც ძალაში შევა მომავალი წლიდან, ამ ვადის 30 დღემდე გაზრდას ითვალისწინებს. ამას გარდა, გასაჩივრების ეტაპზე განაცხადის დამუშავების მაქსიმალური ვადა ორ თვემდე შემცირდა. 2015 წლის 29 ივლისს ცვლილებები შევიდა კანონში „იურიდიული დახმარების შესახებ“, რომელიც საშუალებას აძლევს თავშესაფრის მაძიებლებს, მიიღონ უფასო და კვალიფიციური სამართლებრივი დახმარება და ადვოკატმა დაიცვას მათი ინტერესები სასამართლოში. ახალი ცვლილებები ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან. თავშესაფრის მაძიებლები ისეთსავე სამართლებრივ დახმარებას მიიღებენ იურიდიული დახმარების სამსახურისგან, როგორსაც საქართველოს მოქალაქეები იღებენ.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, მარტყოფში თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრის ახალი ფრთა 2016 წლის იანვარში გაიხსნება, რაც 132-მდე გაზრდის ადგილების რაოდენობას.

- **ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ინტეგრაცია, მათთვის იმ სათანადო შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რომლებიც საჭირო იქნება დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის, საჯარო მომსახურებებსა და სოციალურ უფლებებზე წვდომისა და საქართველოში ინტეგრაციისთვის (სამგზავრო დოკუმენტებზე წვდომის ჩათვლით, როგორც ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული)**

საქართველოს მთავრობამ დამატებითი ღონისძიებები განახორციელა ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, მაგალითად, ლტოლვილებს გამოუყო ვაუჩერები პროფესიული მომზადებისთვის და გაამარტივა არასრულწლოვანებისთვის ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებული საკითხები. თავშესაფრის მაძიებელთა ინტეგრაცია 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია. სტრატეგიის თანხმლები სამოქმედო გეგმის დოკუმენტში იდენტიფიცირებული იქნება ფინანსური საჭიროებები დაგეგმილი აქტივობების შესასრულებლად.

ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ყველაზე გრძელვადიან და სანდო საშუალებად ნატურალიზაცია მიიჩნევა. 2009 წლის შემდგომ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ლტოლვილებისთვის საქართველოს

მოქალაქეობის მინიჭების პროცედურებს. ლტოლვილი შესაბამის პასუხიმგებელ უწყებას მიმართავს თხოვნით ნატურალიზაციით მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ჩვეულებრივი ან საგამონაკლისო წესების დაცვით. მოქალაქეობის შესახებ ახალმა კანონმა ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მიღების სავალდებულო მოთხოვნებად შემოიტანა ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და სამართლის ძირითადი საფუძვლების ცოდნა. 2015 წელს შემუშავდა ქართული ენის შემსწავლელი სპეციალური პროგრამა თავშესაფრის მაძიებლებისთვის, ლტოლვილებისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის.

2.3. ბლოკი 3: საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2.3.1. ორგანიზებულ დანაშაულთან, ტერორიზმთან და კორუფციასთან ბრძოლა და მათი პრევენცია

- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საკითხებზე სამოქმედო გეგმის, კანონმდებლობისა და ეროვნული სტრატეგიის განხორციელება, მათ შორის შესაბამის ორგანოებს შორის ეფექტიანი კოორდინაცია, ასევე ეფექტიანი გამოძიება, სამართლებრივი დევნის წარმოება და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების კონფისკაცია

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნული, რომელიც მიღწეულად იქნა მიჩნეული მესამე მიმდინარე ანგარიშში, შენარჩუნებულია.

- ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საკითხებზე სამოქმედო გეგმის, კანონმდებლობისა და ეროვნული სტრატეგიის განხორციელება, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებს შორის ეფექტიანი კოორდინაცია, ტრეფიკინგის მსხვერპლთა ეფექტიანი დაცვა, განსაკუთრებით ბავშვების, ასევე ეფექტიანი სადამსჯელო ზომების გატარება ადამიანებით მოვაჭრეთა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების მომხმარებელთა მიმართ; სათანადო ინფრასტრუქტურისა და ფონდების უზრუნველყოფა ტრეფიკინგის მსხვერპლთა ღირსების, მათი უფლებების დაცვისა და ღირსეული მიღებისათვის; ამასთან, მათი სოციალური და პროფესიული რეინტეგრაციის მხარდაჭერა

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას ძირითადად უზრუნველყოფს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც 2006 წელს დაარსდა. ფონდთან შექმნილია ორი თავშესაფარი და ფონდი პასუხისმგებელია მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებაზე. ყველა მსხვერპლს, მიჩნეულია თუ არა იგი „კანონით დაზარალებულად“, ხელი მიუწვდება იმ მომსახურებაზე, რომელსაც ფონდი სთავაზობს, მათ შორისაა, მაგალითად, სამი

თვით ცხოვრება ერთ-ერთ თავშესაფარში და კომპენსაციის მიღება 1000 ლარის ოდენობით.

ორივე თავშესაფარი სათანადოდაა აღჭურვილი იმისთვის, რომ მიიღოს ბავშვებიც. ამ საქმეში მათ დახმარებას უწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო. სოციალურ მუშაკებს მოეთხოვებათ თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური სარეაბილიტაციო გეგმის შემუშავება და სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე მონიტორინგის განხორციელება. ახალახან შეიქმნა ორი ახალი სამუშაო ადგილი მცირე ასაკის მსხვერპლთათვის და იმ ბავშვებისთვის, რომლებიც მშობლებს ახლავთ. სოციალური მუშაკები ბავშვებს სწავლაშიც ეხმარებიან. ის მსხვერპლი კი, რომელსაც არავინ ახლავს, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობის ქვეშ იმყოფება და შეიძლება გადაყვანილი იქნეს საოჯახო ტიპის სახლში ან განთავსდეს თავშესაფარში.

სახელმწიფო ფონდის რესურსები გაიზარდა, თბილისის თავშესაფარში სამუშაოდ მიიღეს ფსიქოლოგი. თავშესაფრის ყველა ბენეფიციარი ვალდებულია, გაიაროს სამედიცინო შემოწმება დაწესებულებაში შესვლისას და შეუძლია გადაწყვიტოს, იმკურნალოს თუ არა. 2015 წლის 7 აგვისტოს ფონდის ახალმა დირექტორმა დაამტკიცა შეთავაზების ახალი ფორმა, რომელშიც ჩამოთვლილია ყველა არსებული სახის მომსახურება სამ ენაზე (ქართულად, რუსულად და ინგლისურად). ამასთან, თუ თავშესაფრის ადმინისტრაცია არ უწევს ვინმეს მომსახურებას, ის ვალდებულია, განმარტოს მიზეზები. ზოგადად, სახელმწიფო ფონდის რესურსები მოქნილი ჩანს და პასუხობს მსხვერპლთა საჭიროებებს.

2015 წლის 2 მარტის სამთავრობო დადგენილებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. დეპარტამენტში სხვადასხვა პროფესიის 25 სპეციალისტი-ინსპექტორი მიიღეს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით მათ ჩაუტარდათ ინტენსიური სასწავლო კურსი ტრეფიკინგის მსხვერპლებზე და იძულებით შრომაზე. 2015 წლის ნოემბრის ბოლოსთვის ინსპექტირებმა მოინახულეს 75 (სახელმწიფო და კერძო) კომპანია და პირველი რეკომენდაციებიც გადასცეს შესაბამის დამქირავებლებს შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ამჟამინდელ სისტემას შეისწავლის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი სანქციების დასაწერად. ამას გარდა, 2015 წლის 13 აგვისტოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფორმეს ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საშუალებით ნათლად შეთანხმდნენ, რომ გაცვლიდნენ საჭირო ინფორმაციას და ცალკეულ შემთხვევებზეც საქმის კურსში ჩააყენებდნენ ერთმანეთს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი ის სამართალდამცავი სტრუქტურაა, რომელსაც აკისრია ადამიანებით ტრეფიკინგის შემთხვევათა გამოძიების პასუხისმგებლობა. ცენტრალურ და რეგიონულ სამმართველოებთან ერთად მუშაობს ოთხი მობილური ჯგუფი. 2015 წლის იანვარსა და ივლისს შორის პერიოდში მობილურმა ჯგუფებმა შეამოწმეს მაღალი რისკის შემცველი 52 ორგანიზაცია, მათ შორის ადგილები, რომლებიც პროსტიტუციის მიზნებით იყო გამოყენებული, მაგალითად, ბარები, აბანოები, საუნები, სასტუმროები და კლუბები. დეპარტამენტის ოფიცრებს კავშირები აქვთ ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებთან, ტურისტულ და დასაქმების სააგენტოებთან და ისინი ასევე პასუხობენ ცხელ ხაზზე. ინფორმაციის კიდევ ერთი წყაროა დეპორტირებული პირების გამოკითხვა, რომლებიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან და სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან შემოდიან საქართველოში. 2015 წლის იანვარსა და ოქტომბერს შორის პერიოდში 1 265 პირი გამოიკითხა აეროპორტში, ხოლო 487 - სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში. 2015 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ჩატარებული 17 გამოძიებიდან 11 პროაქტიული ქმედებების შედეგი იყო. შვიდი შემთხვევა ეხება შრომით ექსპლუატაციას, ცხრა - სექსუალურ ექსპლუატაციას და ერთი არასრულწლოვანის გაყიდვას.

გარდა ამისა, 2015 წლის 24 ივლისს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების მყიდველის ჩვენების მოსაპოვებლად, საქართველომ ცვლილება შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლში. ახალი ნორმის მიხედვით, ასეთი პირები თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, თუ ისინი ნებაყოფლობით მისცემენ აღიარებით ჩვენებას საგამომიებო ორგანოებს და ითანამშრომლებენ მათთან. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ამოცანა ტრეფიკინგით დაკავებული პირების წინააღმდეგ ბრძოლაა, კანონი მთელი სიზუსტით უნდა შესრულდეს, რათა მსხვერპლის მომსახურების მყიდველმა ვერ შეძლოს პასუხისმგებლობის თავიდან არიდება.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს და სახელმწიფო ფონდს დამოუკიდებელი სატელეფონო ცხელი ხაზები აქვთ სპეციალურად ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის. 2015 წლის სექტემბერში ცხელ ხაზზე დეპარტამენტმა 133 ზარს უპასუხა, ხოლო სახელმწიფო ფონდმა 146-ს. სატელეფონო ზარების რაოდენობის ზრდა რეალური მტკიცებულებაა იმისა, რომ საზოგადოების ინფორმირების ზომები ხელს უწყობს ქვეყანაში ტრეფიკინგის შესახებ ცოდნის ამაღლებას. ორი დამოუკიდებელი ცხელი ხაზის არსებობის აუცილებლობა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაადასტურეს. სახელმწიფო ფონდი, *inter alia*, გასცემს სასარგებლო ინფორმაციას პრევენციულ ზომებზე, ასევე იძლევა იურიდიულ რჩევებს შრომით კონტრაქტებზე. მხოლოდ ერთი ცხელი ხაზის მოქმედება სახელმწიფო ფონდსა და ძალოვან სტრუქტურაში იმ საფრთხის შემცველია, რომ ისინი, ვისაც პოლიციასთან თანამშრომლობა არ სურს, საერთოდ არ გამოიყენებენ ამ ხაზს.

მონაცემები გროვდება და ზიარდება ერთ ბაზაში, რომელიც ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ არის შექმნილი. ახალი ბაზა შეიცავს ვრცელ ინფორმაციას, მათ შორის დეტალებს მსხვერპლებზე, მოწმეებსა და ტრეფიკინგში ექვმიტანილებზე, ოფიცრებსა და კონტაქტებზე, საქმის ვითარებაზე თუ შედეგებზე. ბაზა ხელმისაწვდომია ტრეფიკინგზე მომუშავე ყველა ძირითადი სააგენტოსთვის დახურულ რეჟიმში.

პოლიციის ატაშეების განთავსება საზღვარგარეთის ქვეყნებში ხელს შეუწყობს სამართალდამცავთა კოორდინირებულ მუშაობას იმ ქვეყნებში, სადაც ტრეფიკინგის საფრთხე არსებობს, მაგალითად აზერბაიჯანში, ყირგიზეთში, უზბეკეთსა და სომხეთში. 2015 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში ხუთი თხოვნა მოვიდა თურქეთიდან და ერთიც აზერბაიჯანიდან სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ.

- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საკითხებზე საკანონმდებლო ჩარჩოს, ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი შესრულება

2008 წელს დაარსებული ანტიკორუფციული საბჭო განაგრძობს სახელმწიფო ანტიკორუფციული პოლიტიკის განვითარებას და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. მთავრობამ დაამტკიცა ახალი ანტიკორუფციული სტრატეგია და 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, რომლებიც საბჭომ 2015 წლის 20 აპრილს მიიღო. სამოქმედო გეგმა შეიცავს ყველა შესაბამის კომპონენტს: სტრატეგიულ პრიორიტეტს, შედეგებს და შესაბამის მაჩვენებლებს, აქტივობებს (კონკრეტული მიზნების შესრულების მითითებით), კონკრეტულ ვადებს (წლისა და თვის მითითებით), პასუხისმგებელ უწყებებს/პარტნიორებს, რისკებსა და ბიუჯეტს (ყოველი კონკრეტული ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხის, დონორის დახმარების მოცულობისა და ნაკლული თანხების მითითებით).

- ანტიკორუფციული ორგანოების, მათ შორის ანტიკორუფციული უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს დამოუკიდებლობის და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა (ანალიტიკური შესაძლებლობების ჩათვლით); კორუფციის წინააღმდეგ ქმედითი ზომების განხორციელება ყველაზე მოწყვლად სფეროებში/სექტორებში (რისკების შეფასებები); კორუფციული შემთხვევების დამაჯერებელი მონაცემების შენარჩუნება (დაწყებული სამართლებრივი დევნით და დამთავრებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებებით), მაღალ დონეზე ჩადენული კორუფციის შემთხვევების ჩათვლით, ასევე ინტერესთა კონფლიქტებისა და უკანონო დოვლათის გამოვლენა და სანქცირება

2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით 2015 წლის 4 თებერვალს ანტიკორუფციულმა უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ მონიტორინგის და შეფასების ახალი დამოუკიდებელი მეთოდოლოგია მიიღო ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტებისთვის. მეთოდოლოგია ეყრდნობა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციებს, აგრეთვე მონიტორინგის მექანიზმებს, რომლებითაც სარგებლობენ ევროპის საბჭოს ქვეყნების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი (OECD-ACN). 2015 წლის ივნისში ანტიკორუფციული უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ ექვსი თვის მონაცემების მიხედვით პირველი ანგარიში მოამზადა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით (2015-2016) დასახული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით.

2012 წლის ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში დაარსდა ანტიკორუფციული სააგენტო. უშიშროების სექტორის 2015 წლის აგვისტოს რეფორმის შედეგად, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დაარსება მოჰყვა, ანტიკორუფციული სააგენტო აღნიშნულ სამსახურს დაექვემდებარა. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სააგენტო იძიებს საჯარო სამსახურებში ინტერესთა კონფლიქტის საქმეებს, აგრეთვე კორუფციისა და თანამდებობის პირების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას. ამასთან ერთად სააგენტოს მოეთხოვება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო პრევენციული და აღმკვეთი ღონისძიებების გატარება.

2015 წლის დასაწყისში შეიქმნა მთავარი პროკურატურის ორი სპეციალიზებული განყოფილება, რომელთა პასუხისმგებლობას წარმოადგენს სერიოზულ კორუფციულ დანაშაულებზე მუშაობა. ესენია ანტიკორუფციული განყოფილება და სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დეპარტამენტი. ანტიკორუფციული განყოფილება პასუხისმგებელია განსაკუთრებით სერიოზული კორუფციული დანაშაულების საქმეთა გამოძიებასა და აღკვეთაზე, აგრეთვე ტენდენციის ანალიზსა და პოლიტიკის შემუშავებაზე. ანალიტიკურ სამუშაოზე დაყრდნობით განყოფილება მიზნად ისახავს შეიმუშაოს პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები საგამომიებო და პროკურატურის ორგანოებისთვის, რომლებიც კორუფციულ დანაშაულთა საქმეებზე მუშაობენ. აღნიშნულ განყოფილებაში ამჟამად შვიდი გამომძიებელი, სამი პროკურორი და რამდენიმე ადმინისტრაციული მუშაკია დასაქმებული. საჭიროების მიხედვით შტატები შეიძლება გაიზარდოს. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დეპარტამენტის კომპეტენციას წარმოადგენს სამართალწარმოების პროცესის ისეთი დარღვევების გამოძიება და აღკვეთა, რომლებსაც ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევა შეუძლიათ გამოიწვიონ,

inter alia, წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახველ მოპყრობა და დასჯა და ქონების უკანონოდ ჩამორთმევა.

კორუფციული დანაშაულების შედეგად ჩამორთმეული აქტივების დაბრუნების 2015 წლის ციფრული მაჩვენებლები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება შედარებით კარგად ართმევდა თავს კორუფციული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას. 2015 წლის ცხრა თვის განმავლობაში საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა 515,000 ევროს ღირებულების აქტივების კონფისკაცია მოახდინეს, ხოლო 5,350,000 ევროს ღირებულების აქტივები გაყინეს.

საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა გააგრძელეს მუშაობა მთავარი პროკურატურის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემების დასარეგულირებლად. მომზადდა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებები. ისინი ითვალისწინებს ახალი ინსტიტუციების, მათ შორის საპროკურორო საბჭოს, პროკურორების კონფერენციის და საგანგებო (*ad hoc*) პროკურორის თანამდებობის, შექმნას.

ცვლილებების მიხედვით, მთავარი პროკურორის სამსახურს უხელმძღვანელებს მთავარი პროკურორი, რომლის თანამდებობაზე ყოფნის ვადა განისაზღვრება ექვსი წლით. ერთი და იგივე პირი ორჯერ ზედიზედ ვერ დაიკავებს მთავარი პროკურორის პოსტს. რეფორმირებული პროკურატურის ახალი ინსტიტუციური მოდელი ითვალისწინებს საპროკურორო საბჭოს დაარსებას, რომელიც თხუთმეტი წევრისგან შედგება, მათ შორისაა იუსტიციის მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე, რვა პროკურორი, რომლებსაც პროკურორთა კონფერენცია ირჩევს, პარლამენტის ორი წევრი (ერთი საპარლამენტო უმრავლესობიდან, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა აირჩევს, ხოლო მეორე ისეთი პარლამენტარებიდან, რომლებიც უმრავლესობას არ მიეკუთვნებიან და რომელსაც ამგვარი პარლამენტარები აირჩევენ), ორი საერთო სასამართლოების მოსამართლე, რომლებსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო აირჩევს, და საპროკურორო საბჭოს ორი წევრი, რომლებსაც პარლამენტი აირჩევს უმაღლესი სასწავლებლების და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დასახელებული კანდიდატებიდან. არც იუსტიციის მინისტრს და არც საბჭოს არ ექნებათ საპროკურორო უფლებამოსილება ამგვარი მოდელის ფარგლებში.

თუკი საკმარისი საფუძველი არსებობს იმის დასაჯერებლად, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, საპროკურორო საბჭო აღნიშნული საბჭოს ერთ-ერთი წევრის ინიციატივით განიხილავს საგანგებო (*ad hoc*) პროკურორის დანიშვნის საკითხს. საგანგებო პროკურორის დანიშვნისთანავე მთავარ პროკურორს დაუყოვნებლივ შეუჩერდება მოვალეობის შესრულების

ვალდებულება, რაც საპროკურორო საბჭოს და/ან პარლამენტის მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე გაგრძელდება. თუ საგანგებო პროკურორი შესაძლებლად ჩათვლის, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა, საპროკურორო საბჭო წევრების ორი მესამედით დაამტკიცებს საგანგებო პროკურორის მოხსენებას, რის შემდეგაც პარლამენტს უნდა მიმართოს მთავარი პროკურორის გადაყენების მოთხოვნით. ამასთან ერთად, მთავარი პროკურორი შეიძლება გადაყენებული იქნეს, აგრეთვე, თუ საპროკურორო საბჭო, შემოწმების შემდეგ, ფარული კენჭისყრით მიიღებს გადაწყვეტილებას თავისი წევრების ორი მესამედით, რომ მთავარმა პროკურორმა დისციპლინარული დანაშაული ჩაიდინა. გარდა ამისა, ცვლილებათა პროექტი ითვალისწინებს მთავარი პროკურორის გადაყენების სხვა საფუძვლებსაც, როგორც არის მისი გადადგომა ან ქმედუუნარობა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზებით, ან სხვა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა ნებისმიერი შემთხვევა და ა.შ.

დაცვის რამდენიმე მნიშვნელოვანი საშუალება იქნა შეტანილი საპროცესო გარიგების სისტემაში. პროკურორს ან ბრალდებულს შეუძლიათ საპროცესო გარიგების შეთავაზება. რაიონულმა/საოლქო ბრალმდებელმა უნდა დაამტკიცოს თავისი რაიონის უფრო დაბალი რანგის ბრალმდებლების მიერ გაფორმებული შეთანხმებები. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს სათანადო სამართლებრივი საფუძველი ბრალდებულის გასამართლებისთვის და რომ ბრალდებულისთვის გასაგებია, თუ რა შედეგები მოჰყვება მის მიერ საპროცესო გარიგების დადებას. ბრალმდებელი ვალდებულია, რჩევა ჰკითხოს დანაშაულის მსხვერპლს, თუმცა საჭირო არ არის, დაეთანხმოს ან გაიზიაროს დაზარალებულის შეხედულება. დაზარალებულსაც აქვს უფლება, რომ მას მოსამართლემ მოუსმინოს. საპროცესო გარიგება წერილობით უნდა გაფორმდეს და სათანადო მხარეებმა მას ხელი უნდა მოაწერონ. არსებობს სახელმძღვანელო პრინციპები ბრალმდებლებისთვის, რომელიც განსაზღვრავს სათანადო სასჯელს სხვადასხვა სამართალდარღვევისთვის და იმას, თუ რა წონა უნდა მიენიჭოს სხვადასხვა შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. ის ფაქტი, თუ როგორ შემცირდა 2013 და 2014 წლებს შორის საპროცესო გარიგებების რაოდენობა დაახლოებით 90%-დან დაახლოებით 70%-მდე, მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნული რეფორმები შედეგიანი იყო. 2015 წლის იანვრიდან ივლისამდე საქმეთა 64% საპროცესო გარიგებით დასრულდა, მაშინ, როდესაც 2014 წელს საქმეთა 69.9% პროცენტი იქნა დარეგისტრირებული აღნიშნული პროცედურით.

გაგრძელდა მუშაობა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაზრდის საკითხზე სამწლიან სავალდებულო გამოსაცდელ ვადასთან მიმართებაში იმ მოსამართლეებისთვის, ვინც 10 წელია მუშაობს. მთავრობის გადაწყვეტილებით

სათანადო დებულებებს შეიტანენ კანონპროექტში, რომელსაც ამჟამად პარლამენტი განიხილავს სასამართლოს რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში და რომელიც, სავარაუდოდ, 2015 წლის ბოლოსთვის დამტკიცდება.

2014 წლის ნოემბერში მიღებული საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციაზე მუშაობის პროცესში გამოვლინდა ერთიანი მიდგომის საჭიროება, ასევე გამოვლინდა ზოგიერთი ხარვეზი საჯარო სამსახურის მარეგულირებელ კანონმდებლობაში, როგორც არის, მაგალითად, ძირითად კანონებში წინააღმდეგობრივი დებულებების არსებობა ან კანონქვემდებარე აქტების არარსებობა, რომელიც დაარეგულირებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს. 2015 წლის 28 ოქტომბერს პარლამენტმა მიიღო „კანონი საჯარო სამსახურის შესახებ“ 46 კანონქვემდებარე აქტისგან შემდგარი პაკეტით. შესაბამისი საკანონმდებლო აქტები 2017 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში. ახალი „კანონი საჯარო სამსახურის შესახებ“ განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, დაქირავების და დასაქმების პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს და საჯარო მოსამსახურეების შრომით სამართალურთიერთობას. ახალი რეგულაციების პროექტის მიხედვით, ყველა პროფესიონალი საჯარო მოსამსახურე უნდა დაინიშნოს მხოლოდ პირადი ღირსებების გათვალისწინებით, სამართლიანი და ღია კონკურენციის საფუძველზე. განსაზღვრულია საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის დამოუკიდებლობის საგანგებო გარანტიები. ამაში შედის მისი სამსახურის ვადამდელი დასრულების პირობები. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საჯარო სამსახურის ბიუროს ქმედუნარიანობა და რესურსები, უფრო ზუსტად, გაიზარდა საჯარო სამსახურის ბიუროს როლი საჯარო სამსახურის ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესში. ამასთან ერთად საჯარო სამსახურის ბიუროს 2014 წლის ბიუჯეტისთვის დამატებით გამოიყო 150,000 ლარი და მას 18 ახალი თანამშრომლის აყვანის შესაძლებლობა მიეცა.

საქართველოს ხელისუფლებამ შემდგომი ნაბიჯები გადადგა კორუფციის და სხვა უკანონო საქმიანობის შესახებ მამხილებელთა დასაცავად და ცვლილებები შეიტანა კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის და კორუფციის შესახებ.“ ცვლილებებმა მესამე წაკითხვა გაიარა პარლამენტში 2015 წლის 28 ოქტომბერს. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, საჯარო მოსამსახურის გადაცდომის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში მამხილებელთა დაცვის კანონით გათვალისწინებული უფლებები გავრცელდება „ნებისმიერ პირზე“ საჯარო სექტორის მიღმა და არ შემოიფარგლება მხოლოდ მოქმედი ან ყოფილი საჯარო მოსამსახურეებით. ამასთან, ცვლილებათა პროექტის მიხედვით, მამხილებლებს საშუალება მიეცემათ, პირდაპირ მოახდინონ საზოგადოების ან მედიის ინფორმირება მას შემდეგ, რაც განცხადების განმხილველი ორგანო, პოლიცია, პროკურორი ან სახალხო დამცველი გადაწყვეტილებას მიიღებენ, განსხვავებით

არსებული რეგულაციისგან, რომლის თანახმად მამხილებლებს საზოგადოების ან მედიის ინფორმირებამდე განცხადების განმხილველი ორგანოს, პოლიციის, პროკურორის ან სახალხო დამცველის გადაწყვეტილების მიღებიდან ორი თვე უნდა დაეცადათ. გარდა ამისა, ცვლილებების საფუძველზე დაინერგება ელექტრონული განცხადების მექანიზმი, რომელიც კონფიდენციალური განცხადების გაკეთების საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაში, თუ საჯარო მოსამსახურის გადაცდომის შესახებ ეჭვი გაჩნდება. განცხადებას საჯარო მოსამსახურის ბიურო დაამუშავებს კონფიდენციალურად და შემდეგ ავტომატურად გადასცემს სათანადო საჯარო დაწესებულებას.

შემდგომი სამუშაო შესრულდა საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგისა და კონტროლის სისტემის გაძლიერების მიზნით. ანტიკორუფციული საბჭოს მიერ შექმნილმა საგანგებო სამუშაო ჯგუფმა რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა 2015 წლის თებერვალ-ივნისში, ხოლო საჯარო მოსამსახურის ბიურომ დაასრულა ცვლილებათა პროექტი. ცვლილებები ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე განიხილეს 2015 წლის 29 ივნისს საჯარო დაწესებულებების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით. ცვლილებების მიხედვით, დეკლარაციების მონიტორინგი სამ შემთხვევაში მოხდება: პირველი - მუდმივი კონტროლი განხორციელდება მაღალი რანგის მოხელეთა დეკლარაციებზე, რომელთა საქმიანობასაც კორუფციის მაღალი რისკი ახლავს; მეორე - დამოუკიდებელი კომისიის მიერ მოხდება დეკლარაციების შემთხვევითი შერჩევა გამჭვირვალედ, ელექტრონული სისტემის საშუალებით, რისკის კონკრეტული კრიტერიუმების გამოყენებით (შერჩეული დეკლარაციების სიას ყოველი წლის დასაწყისში გამოაქვეყნებს საჯარო მოსამსახურის ბიურო); მესამე - საჯარო მოსამსახურის ბიუროში წარდგენილი დასაბუთებული წერილობითი საჩივრების/ინფორმაციის საფუძველზე.

მონიტორინგის პროცესი დასრულდება ინფორმაციის ჯვარედინი შემოწმებით სხვადასხვა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, კონფიდენციალურობის პრინციპების შესაბამისად. საჯარო მოსამსახურის ბიუროს შეუძლია პირველმა მოახდინოს განსახილველი დეკლარაციის დადებითი ან უარყოფითი შეფასება, ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, თუ არ წარმოადგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას/დოკუმენტებს, წარმოადგენენ არასრულყოფილ ან არასწორად შევსებულ დეკლარაციას, აგრეთვე თუ დაირღვევა კანონი საჯარო მოსამსახურის შესახებ და კანონი საჯარო მოსამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ, რისი იდენტიფიცირებაც მონიტორინგის პროცესში მოხდება. მცირე დარღვევებისთვის საჯარო მოსამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი დააკისრებს ჯარიმას 1 000 ლარის ოდენობით. თუ გაირკვევა, რომ საჯარო მოხელემ განზრახ

წარმოადგინა არასრულყოფილი და მცდარი მონაცემები, ან თუ გამოძახებულა დანაშაულის კონკრეტული ელემენტები, სათანადო დეკლარაციას შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად სამართალდამცავ ორგანოებში გადააგზავნიან განსახილველად.

გარდა ამისა, ქონებრივი დეკლარაციების ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელების მიზნით ცვლილებათა პროექტი ითვალისწინებს საწარმოს საქმიანობაში პირდაპირ და არაპირდაპირ მონაწილეობას, ქონებრივი დეკლარაციების წარმოდგენის კონკრეტულ დროს და ზრდის საჯარო მოხელეების მიერ გასამჟღავნებელი ინფორმაციის მოცულობას. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ყოვლისმომცველი და ინტენსიური მონიტორინგი ინტერესთა კონფლიქტის, აგრეთვე კორუფციასთან დაკავშირებული გადაცდომების გამოსავლენად, ახალი რეგულაციების პროექტის თანახმად, მოხელეები თანამდებობიდან წასვლიდან ერთი წლის შემდეგაც ვალდებული იქნებიან, შეავსონ ქონებრივი დეკლარაციები, თუ ისინი ახალ თანამდებობაზე არ დაინიშნენ.

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებები მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 28 ოქტომბერს მესამე წაკითხვით.

საქართველოს ხელისუფლება განაგრძობდა შესყიდვების სისტემის გაუმჯობესებას. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის ცვლილებები. შეტანილი ცვლილებები შეიცავს დებულებას, რომლის თანახმად გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი განაცხადი გამარტივებული შესყიდვის ჩატარების შესახებ საჯარო ხასიათის არის და ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გაითვალისწინებს როგორც წარმოდგენილ განაცხადს, ასევე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის სექტორის წარმომადგენლების ჩათვლით. გამარტივებული შესყიდვის წესების, პროცედურების, კრიტერიუმების და პირობების შეთანხმებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან აწესრიგებს შესაბამისი ნორმატიული აქტი. პროცედურები გარკვევით მოითხოვს საზოგადოების ინფორმირებას და ოპონენტების აზრის გათვალისწინებას, ამასთანავე, საჭიროა, რომ გადაწყვეტილებას ტენდერზე უარის თქმის შესახებ დამოუკიდებლად ამტკიცებდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; აღნიშნული სამართლებრივი ხასიათის ცვლილებების გათვალისწინებით სახელმწიფო

შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა თავმჯდომარის ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრის და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესების შესახებ.“ ეს ბრძანება მკაფიოდ აყალიბებს გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში კონტრაქტის მინიჭების საფუძველს და კრიტერიუმებს, გადაწყვეტილების სააგენტოსთან შეთანხმების წესს, აგრეთვე გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კერძოდ, აღნიშნული ბრძანების თანახმად, გამარტივებული შესყიდვა იმ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს, თუ შესყიდვის ღირებულება ნორმატიულ ზღვარზე ნაკლებია. ბრძანებით განსაზღვრულია, აგრეთვე, სხვა გარემოებები, როდესაც შეიძლება გამარტივებული შესყიდვის ჩატარება, კერძოდ, თუ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან მშენებლობის წარმოება (ა) ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს; (ბ) გადაუდებელი აუცილებლობაა; (გ) მიზნად ისახავს ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილებას და ა.შ. ყველა ამ გარემოების/შემთხვევისთვის ბრძანება განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებიც გამარტივებულ შესყიდვაზე ნებართვის გასაცემად უნდა დაკმაყოფილდეს. შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე კონტრაქტის მინიჭების უფლება ზემოაღნიშნული კანონითა და ბრძანებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი პროცედურების საფუძველზე. ბრძანებას ხელი მოეწერა 2015 წლის 17 ნოემბერს და ძალაში შევიდა 2015 წლის 1 ნოემბერს.

- ეფექტიანი ეთიკის კოდექსების შემუშავება, რომლებიც დააწესებს სანქციებს საჯარო მოხელეების (არჩეული და დანიშნული) მიმართ, განსაკუთრებით იმ არჩეული საჯარო მოხელეების მიმართ, რომლებიც მუშაობენ ცენტრალურ და ადგილობრივ, აგრეთვე სასამართლო და სამართალდამცავ ორგანოებში. სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოებისთვის, კორუფციის შემთხვევებთან ეფექტიანი მეთოდებით ბრძოლის მიზნით, სათანადო შესაძლებლობების, ტრენინგების და სპეციალიზაციის უზრუნველყოფა

რაც შეეხება ეფექტიანი ეთიკის კოდექსების შემუშავებას, რომლებიც დააწესებს სანქციებს საჯარო მოხელეების მიმართ, დაარსდა საჯარო მოხელეების ეთიკური ქცევის ნორმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. ეთიკის კოდექსში შევა საჯარო სამსახურში მოქცევის დეტალური რეგულაცია, რომელიც ყველა საჯარო მოხელეს შეეხება (გარკვეული გამონაკლისებით). სამუშაო ჯგუფმა უკვე შეიმუშავა კოდექსის საწყისი პროექტი და განსახილველად წარუდგინა ბიუროს. ეთიკის კოდექსის პროექტის შემუშავება ცალკე კანონის სახით 2015 წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

გარდა ამისა, შემუშავდა სახელმძღვანელო „ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში.“ შედგა აღნიშნული სახელმძღვანელოს ოფიციალური პრეზენტაცია და ის ონლაინ რეჟიმში გამოქვეყნდა, აგრეთვე ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ სამთავრობო დაწესებულებას დაეგზავნა.

- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, მათ შორის ინფორმაციის გადაცემის ვალდებულების, საკითხებზე კანონმდებლობის იმპლემენტაცია; დამნაშავეთა აქტივების გამოვლენაზე, გაყინვაზე, ყადაღის დადებასა და კონფისკაციაზე შესაბამისი კანონმდებლობის (ტრანსსასაზღვრო საკითხების ჩათვლით) იმპლემენტაცია

2015 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე ცვლილება დაამტკიცა საზღვარზე ნაღდი ფულის მოძრაობის საკანონმდებლო ბაზის განმტკიცების და განხორციელების მიზნით. პირველი, ცვლილება შეეხო 2003 წლის კანონს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხელშეწყობის აღკვეთის შესახებ“, რათა ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნები ფულის და ფასიანი ქაღალდების საზღვარზე გადატანასთან დაკავშირებით გავრცელებულიყო ნაღდი ფულის, აგრეთვე წარმოდგენაზე ფინანსური ინსტრუმენტების ექსპორტზე და იმპორტზე, ფოსტით და ტვირთის გადასატანი კონტეინერებით, როდესაც თანხა 30,000 ლარს აღემატება. შესაბამისად, დეკლარირების სისტემის დიაპაზონი გაფართოვდა და გარდა ნაღდი ფულისა, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გადააქვთ, მასში შევიდა ფოსტით და ტვირთის სახით გაგზავნილი და მიღებული ნაღდი ფული. შესაბამისად, ნაღდი ფულის მოძრაობა საზღვარზე დეკლარირებას ექვემდებარება, თუ თანხა 30,000 ლარს აღემატება. მეორე, გადასინჯული იქნა საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლი, რათა ნაღდი ფულის საზღვარზე მოძრაობის დეკლარირების ვალდებულების უგულებელყოფის შემთხვევაში გაზრდილიყო სანქციები. ადრე ადმინისტრაციული სახდელი მაქსიმუმ 3,000 ლარით ან ქონების კონფისკაციით შემოიფარგლებოდა. ახალი საგადასახადო კოდექსის ფარგლებში საბაჟო კონტროლისთვის თავის არიდებას 3,000 ლარიანი ჯარიმა მოჰყვება, თუ თანხის მოძრაობამ 30,000 ლარს გადააჭარბა, 5,000 ლარიანი ჯარიმა - თუ 50,000 ლარს გადააჭარბა და თანხის ჩამორთმევა და ჯარიმა ტრანსპორტირებული თანხის 10 %-ის ოდენობით, თუ თანხა ტოლია ან აღემატება 100,000 ლარს. მესამე, შეიცვალა დეკლარაციის ფორმა და მასში შევიდა ინფორმაცია ნაღდი ფულის წარმომავლობის და მისი გამოყენების მიზნის შესახებ. დაბოლოს, თუ არსებობს ტრანსპორტირებული ნაღდი ფულის უკანონო საქმიანობისთვის გამოყენების ნიშნები, რაც დეკლარაციით დაშვებულ ნორმებს არ შეესაბამება, შემოსავლების სამსახური უკავშირდება შესაბამისი რეაგირებისთვის სათანადო უწყებებს,

როგორც არის სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც საზღვარზე არიან წარმოდგენილი.

კრიმინალური აქტივების კონფისკაციასთან დაკავშირებული არსებული საკანონმდებლო ბაზის უკეთ გამოყენების მიზნით მთავარი პროკურორის სამსახურმა შეიმუშავა ოთხსაფეხურიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც 2015 წლის ზაფხულში განხორციელდა. პირველი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა რეკომენდაციების შედგენას პროკურორებისთვის და გამომძიებლებისთვის „გარკვეულ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს უნდა იქნეს მიღებული.“ იმისათვის, რომ კრიმინალებმა ვერ გამოძებნონ უკანონო ქონების კონფისკაციისთვის თავის არიდების გზები საპროცესო გარიგების საშუალებით, რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ „უნდა განხორციელდეს ზომები კონფისკაციის უზრუნველსაყოფად იმ ფაქტის მიუხედავად, რომ სათანადო პირთან უნდა გაფორმდეს საპროცესო გარიგება.“ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აქტივების გაყინვის და კონფისკაციის მოთხოვნის რეკომენდაცია პროკურორების მისამართით გაკეთდა, თუმცა კონფისკაციის გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე. აღნიშნული რეკომენდაციის შინაარსი განხილული იქნა მის მთავარ ადრესატებთან ერთად 2015 წლის ივლისის პირველ ნახევარში. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო სულ 275-მა პროკურორმა და გამომძიებელმა. 4 აგვისტოს მთავარმა პროკურორმა მიიღო რეკომენდაცია, რომელიც შემდეგ დაგზავნილი იქნა სამსახურის შიგნით. მთავარი პროკურორის სამსახურის გენერალური ინსპექციის განყოფილებას დაევალა რეკომენდაციის შესრულების კონტროლი. გენერალური ინსპექციის განყოფილების მიერ ჩატარებული საწყისი ანალიზის თანახმად რეკომენდაციის დამტკიცების და გავრცელების შემდეგ სამართალდამცავი ორგანოები და პროკურორები გააქტიურდნენ აქტივების კონფისკაციის თვალსაზრისით. სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2015 წლის ცხრა თვის განმავლობაში ფულის გათეთრების ფაქტებზე ჩამორთმეული თანხის მოცულობა თითქმის ორჯერ გაიზარდა 2014 წელთან შედარებით.

რაც შეეხება ინსტიტუციურ საკანონმდებლო ბაზას, ფინანსური მონიტორინგის სამსახური 2004 წლიდან საქმიანობს როგორც საექვო ტრანზაქციების შესახებ შეტყობინებების მიღების, გაანალიზების და გავრცელების ეროვნული ცენტრი. ადრე ფინანსური მონიტორინგის სამსახური საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო და დაფინანსებას აღნიშნული ბანკიდან იღებდა, ახლა ის საჯარო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული პირია, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას. მოსალოდნელია,

რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახური კიდევ უფრო პრიორიტეტულ მნიშვნელობას შეიძენს. გარდა ამისა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ორი ახალი თანამშრომელი აიყვანა 2015 წლის ოქტომბერში და დარჩენილი ვაკანსიების გამოცხადებასაც მალე გეგმავს.

ყველაზე მნიშვნელოვანი სამეთვალყურეო უწყება არის საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ყველა ფინანსურ ინსტიტუტს, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა და კერძო საპენსიო ფონდებისა. ეროვნულ ბანკში შეიქმნა ცალკე მეთოდოლოგიისა და ოფსაიტ შემოწმების განყოფილება, რომელიც ექსკლუზიურად უზრუნველყოფს ფინანსური ინსტიტუტების დისტანციური ზედამხედველობის ფულის გათეთრების და კონტრტერორისტული დაფინანსების საწინააღმდეგო კუთხით. განყოფილება ექვსი თანამშრომლით დაკომპლექტდა და 2015 წლის ზაფულში კომერციულმა ბანკებმა წარმოადგინეს ფულის გათეთრების და კონტრტერორისტული დაფინანსების საწინააღმდეგო პირველი ანგარიშები. დაზღვევის საზედამხედველო ორგანომ, რომელიც ზედამხედველობას უწევს სადაზღვევო კომპანიებსა და კერძო საპენსიო ფონდებს, ზედამხედველობის დეპარტამენტის ფარგლებში დამოუკიდებელი დისტანციური ზედამხედველობის განყოფილება შექმნა. დაიქირავეს სამი თანამშრომელი და დაიწყო მუშაობა ანგარიშების ფორმებზე და მათი წარმოდგენის სიხშირეზე.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ინფორმირებულობის ამაღლების საქმიანობა წამოიწყო ანგარიშების დაბალი დონის დასაძლევად ისეთ პროფესიულ სექტორებში, რომლებსაც იურისტები, ბუღალტრები ან აუდიტორები წარმოადგენენ. 2015 წლის აპრილიდან აგვისტომდე მან სამი ტრენინგი ჩაუტარა საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის წევრებს კლიენტთა მიმართ სიფრხილის მოთხოვნებზე და რისკის შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებაზე. ფინანსური მონიტორინგის სამსახური დაეხმარა, აგრეთვე, ასოციაციას იურისტებისთვის ფულის გათეთრების პრევენციის სახელმძღვანელოს შედგენაში და გეგმავს საქართველოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობაში იურისტებისთვის ტრენინგების გეგმების შემუშავებას, რაც მათი უწყვეტი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს წარმოადგენს. ფინანსური მონიტორინგის სამსახური ამჟამად საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან ერთად მუშაობს, რათა მოახდინოს ტრენინგების და სემინარების ორგანიზება სააუდიტორო ფირმებისთვის.

2015 წლის 25 სექტემბერს ევროპის საბჭომ წამოიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა.“ პროექტი მიზნად ისახავს, გააძლიეროს

საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის პოტენციალი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზების, უნარ-ჩვევების და საოპერაციო შესაძლებლობების განვითარების გზით.

- ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სათანადო მუშაობის უზრუნველყოფა; სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ნარკოტიკების ამოღებასა და დაკავშირებულ პირთა შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ნარკოტიკების სფეროში შესაბამის საერთაშორისო ორგანოებთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარება და ინფორმაციის გაცვლა; ნარკოტიკებისა და ნარკომანიისთვის ევროპული მონიტორინგის ცენტრთან (EMCDDA) თანამშრომლობის დამყარება

საქართველო აგრძელებდა 2014-2015 წლების ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაადასტურა ხელისუფლების მიერ დაბალანსებული ანტინარკოტიკული პოლიტიკის შემუშავებაში მიღწეული პროგრესი, რომელიც მიზნად ისახავდა როგორც მოთხოვნის შემცირების პოლიტიკის გატარებას, ასევე მიწოდების შემცირების ზომების მიღებას.

რაც შეეხება მოთხოვნის შემცირებას, პრევენციული აქტივობები, რომლებიც მოიცავდა ტრენინგს ნარკოტიკების მოხმარების რისკებთან და ადრეულ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით ქვეყნის მასშტაბით 370 ოჯახის ექიმს ჩაუტარდა; 2014 წლის ბოლოს დაიწყო 2015 წლის აგვისტოში დასრულდა. მკურნალობისა და რეაბილიტაციის სფეროს რაც შეეხება 2015 წლის პირველ ნახევარში 3000-ზე მეტმა ოპიატზე დამოკიდებულმა პირმა ისარგებლა ჩანაცვლებითი თერაპიით, რაც სახელმწიფო ანტინარკოტიკული პროგრამის საერთო პოტენციალის ამაღლების ხარჯზე მოხდა. გარდა ამისა, იმისათვის, რომ გაზრდილიყო ზიანის შემცირების ცენტრების ბენეფიციართა რაოდენობა (მაგ. უსაფრთხო საინექციო ინსტრუმენტები და აივ ტესტირება), 2015 წლის ოქტომბრიდან დაინერგა და ამოქმედდა მობილური ამბულატორიული პრაქტიკა.

მიწოდების შესამცირებლად საქართველომ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი საკანონმდებლო ბაზის ანტინარკოტიკული დებულებები. 2014 წლის 15 მარტს ძალაში შევიდა ახალი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა თანახმად მოხდა ზოგიერთი ფსიქოტროპული პრეპარატით ვაჭრობის კრიმინალიზება, რომლებსაც კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მთავარ კომპონენტებად იყენებენ. ამის შედეგად ეგრეთ წოდებული „კრაკადილის“ (კუსტარული ნარკოტიკი) გამოყენება დაახლოებით 99 %-ით დაეცა ბოლო თვეებში.

სისხლის სამართლის კოდექსის უახლესი ცვლილებები, რომლებიც 2015 წლის 31 ივლისს შევიდა ძალაში, მიზნად ისახავს, განასხვავოს ერთმანეთისგან პასუხისმგებლობა ნარკოტიკების ფლობის და გავრცელებისთვის. ნარკოტიკული ნივთიერებების, მათი ანალოგების, პროტოტიპების ან ახალი ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო წარმოება, შესყიდვა, შენახვა, ტრანსპორტირება, გადაცემა ან გაყიდვა ისე მკაცრად არ დაისჯება, როგორც ადრე, ხოლო მათი გავრცელება კვლავაც მკაცრად დასჯადი იქნება. სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი ითვალისწინებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 11 წლამდე პატიმრობის ჩათვლით როგორც ნარკოტიკების ფლობისთვის (და სხვა ქმედებებისთვის, როგორც არის არის წარმოება, შენახვა და ა.შ.), ასევე გავრცელებისთვის. ახალი კანონის თანახმად ნარკოტიკების ფლობა დასჯადია ექვს წლამდე პატიმრობით.

მართალია, ექვსწლიანი პატიმრობა ძალზე მკაცრი სანქციაა, მაგრამ სტატისტიკის თანახმად, ახალი ცვლილებების ძალაში შესვლამდეც კი უმეტეს შემთხვევებში (2011 წელს 70%, 2012 წელს 73%, 2013 წელს 91% და 2014 წელს 90%) ერთიდან სამ წლამდე პატიმრობას უსჯიდნენ. ცვლილების ძალაში შესვლიდან სისხლის სამართლის კოდექსის 260(1) მუხლის საფუძველზე 108 მსჯავრდებული პირიდან 37 იქნა მოთავსებული პატიმრობაში. ერთ მათგანს ხუთ წელზე მეტი ხნის პატიმრობა მიუსაჯეს.

რაც შეეხება მცირე რაოდენობით ნარკოტიკების მოხმარების ან პირადი მოხმარებისთვის ფლობის გამო პასუხისმგებლობას, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ პირველი შემთხვევა ადმინისტრაციულ სასჯელს დაექვემდებარება. მეორე შემთხვევა იმავე წელს დაისჯება ჯარიმით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან ერთ წლამდე პატიმრობით სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, პატიმრობის შეფარდება ხდება მხოლოდ ერთი და იმავე წლის განმავლობაში ნარკოტიკების მოხმარების მესამე შემთხვევის გამო. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ მცირე რაოდენობით (2-3 გრამი) მარიხუანის ფლობა არ სცდება საქართველოში კრიმინალური სამართალდარღვევის ზღვარს და არ ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 260(1) მუხლით.

ევროპის საბჭოს/ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამული პარტნიორობის ფარგლებში საქართველოში ხორციელდება რეგიონული ინიციატივა „იძულებითი სანქციების ალტერნატივა ნარკოტიკების შესახებ კანონის დარღვევისთვის და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების პროექტისთვის“. ტარდება შედარებითი კვლევა იმ მოდელების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც პატიმრობის ალტერნატივად შეიძლება იქნეს

გამოყენებული წამალზე დამოკიდებული სამართალდამრღვევებისთვის საქართველოში. კვლევის მასალების საფუძველზე პატიმრობის ალტერნატივების ინტეგრირება მოხდება საქართველოს პოლიტიკასა და პრაქტიკაში.

იმისათვის, რომ მოქალაქეები დაცული იქნენ შერჩევითი ნარკოტესტებისგან საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის საჩივარს პოლიციის მიერ ჩატარებული არაგეგმიური ნარკოტესტებისთვის. პირველი, კანონი „საქართველოს პოლიციის შესახებ“ მოითხოვს, რომ ტესტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება გონივრულ საფუძველს დაეყრდნოს იმის დასაჯერებლად, რომ პირმა ნარკოტიკები მოიხმარა. შინაგან საქმეთა მინისტრის 725 ბრძანების თანახმად, რომელიც 2015 წლის 30 სექტემბერს დამტკიცდა, გონივრული საფუძველს დასაჯერებლად უნდა ახლდეს სხვა გარემოებებიც. ამგვარად შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი უფლებამოსილია, გადაიყვანოს პირი ნარკოტესტისთვის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამსახურში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) თანამშრომელი უშუალო მოწმეა, რომ პირმა ჩაიდინა სამართალდარღვევა, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, (ბ) პირი ცდილობს გაიქცეს ან წინააღმდეგია დაემორჩილოს პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და საკმარისი საფუძველია იმის დასაჯერებლად, რომ ამ პირმა მოიხმარა ნარკოტიკი ან ის ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, ან (გ) ინფორმაცია, რომ პირმა უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკი მოპოვებულია ოპერატიული გამოძიებით ან ფარული საძიებო ქმედებებით საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ან სამინისტროს მოახსენა ან პირდაპირ პოლიციელს შეატყობინა იდენტიფიცირებულმა წყარომ.

დაუგეგმავი ნარკოტესტის გამო პირს რამდენიმე გზით შეუძლია გაასაჩივროს პოლიციის გადაწყვეტილება და განცხადება შეიტანოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, რომელიც პასუხისმგებელია პოლიციელთა უკანონო ქმედებების აღკვეთაზე, ან იჩივლოს ადმინისტრაციულ სასამართლოში ან პროკურატურაში. 2014 წლიდან 2015 წლის შუა პერიოდამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე სულ 40 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა. ორი საქმე მთავარ პროკურატურას გადაეცა შემდგომი განხილვისთვის. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების გარდა ნარკოტესტების შედეგები ექვემდებარება სასამართლოს მიერ განხილვას 14 დღის განმავლობაში.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინსტიტუციური საკანონმდებლო ბაზა კიდევ უფრო განმტკიცდა. ნარკოტიკებთან ბრძოლის უწყებათაშორისო საბჭოს გარდა, 2015 წლის ბოლოს საქმიანობას დაიწყებს ნარკოტიკების მონიტორინგის

ეროვნული ცენტრი. ეს ცენტრი წარმოადგენს წლიურ ანგარიშებს და იქნება EMCDDA-ს საკოორდინაციო ცენტრი. გარდა ამისა, EMCDDA-თან თანამშრომლობა განმტკიცდა ევროკავშირსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერით 2015 წლის 4 ნოემბერს.

- გაეროს და ევროპის საბჭოს კონვენციების და ზემოხსენებულ სფეროებში GRECO-ს რეკომენდაციების სრულყოფილად განხორციელება

ამ ნიშნულთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება წინამდებარე ანგარიშის სხვა თავებში შეფასდა.

- საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, სათანადო ტრენინგების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული ზომების ეფექტიანად გასატარებლად

ამ ნიშნულთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება წინამდებარე ანგარიშის სხვა თავებში შეფასდა.

2.3.2. სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების სფეროში თანამშრომლობა

სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების სფეროში თანამშრომლობა, რაც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა მესამე მიმდინარე ანგარიშში, კვლავ დაკმაყოფილებულია.

2.3.3. სამართალდამცავ სფეროში თანამშრომლობა

- სამართალდამცავი სამსახურების ოპერატიული და სპეციალური საგამოძიებო შესაძლებლობის მაღალი დონის უზრუნველყოფა და მისი თანმიმდევრული და ეფექტიანი გამოყენება ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან საბრძოლველად;

საპროცესო კოდექსი და ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი უზრუნველყოფს სამართლებრივ ჩარჩოს სამართალდამცავი სამსახურების ოპერატიული და სპეციალური საგამოძიებო ოპერაციებისათვის. მათში ჩამოყალიბებულია რიგი სპეციალური საგამოძიებო ოპერაციებისა, დაწყებული დაკითხვით და სატელეფონო მოსმენებით და დამთავრებული ფარული ოპერაციებით. საქართველოს სამართალდამცავმა სამსახურებმა აჩვენეს საკუთარი უნარი, განახორციელონ სპეციალური საგამოძიებო ოპერაციები.

გარდა სამართლებრივი ინსტრუმენტებისა, საქართველოს ხელისუფლებას აქვს სპეციალური აღჭურვილობა და აპარატურა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ხელშესაწყობად. კიდევ უფრო გაუმჯობესდა

სასამართლო ექსპერტიზის შესაძლებლობები, განსაკუთრებით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ქიმიური ლაბორატორიის მოდერნიზების შედეგად. დღეს რეგიონულ ლაბორატორიას თბილისის ლაბორატორიისგან დამოუკიდებლად შეუძლია სამართალდამცავი ორგანოებისათვის აწარმოოს ნარკოტიკების, ფარმაცევტული და უცნობი ნივთიერებების თანამედროვე ინსტრუმენტული ანალიზი.

- **სამართალდამცავ სფეროში თანამშრომლობის ეფექტიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფა შესაბამის ეროვნულ უწყებებს შორის - განსაკუთრებით საზღვრის დაცვის, პოლიციის და საბაჟო სამსახურებში, ასევე სასამართლო ორგანოებში**

საქართველოში სამართალდამცავ სფეროში თანამშრომლობის ხელშემწყობი ინსტიტუციური ჩარჩო და კოორდინაციის ინსტრუმენტები კარგად არის ცნობილი და მათ იყენებენ შესაბამისი საჯარო მხარეები. სამართალდამცავმა ორგანოებმა არა მარტო მათ შორის თანამშრომლობის მაღალი ეფექტიანობა წარმოაჩინეს, რასაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი 2013 წელს სამართალდამცავ სფეროში უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერამ - ასევე არსებობს კარგი ურთიერთქმედება გამომძიებლებსა და პროკურორებს შორის. გამომძიებლებისა და პროკურორების ერთობლივი ჯგუფები მუშაობენ მნიშვნელოვან საქმეებზე, ხოლო ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში ტარდება ტრენინგის ერთობლივი კურსები. უკანასკნელი კურსები 2015 წლის ივლისში ჩატარდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ელექტრონული დოკუმენტების გაზიარების პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა ყველა სამართალდამცავ და პროკურატურის ორგანოს შორის რეალურ დროში უსაფრთხო კომუნიკაციის შესაძლებლობას.

ყოველგვარი საფრთხეების შესახებ შეფასების რეგულარული ანგარიშის მოსამზადებლად დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელობით მიმდინარე კონტროლსა და მუდმივ შეფასებაზე დაყრდნობით, 2015 წლის 22 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. ამჟამად სამინისტროს თითოეული სტრუქტურული ერთეული თავად აწარმოებს საკუთარ ანალიტიკურ პროცესს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს მათ კომპეტენციაში შემავალი სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აერთიანებს ამ ინფორმაციას, აანალიზებს მონაცემებს და ამზადებს რეკომენდაციებს. დეპარტამენტში უკვე ხდება საქართველოში რეგისტრირებული სისხლის სამართლის ყველა ჩანაწერის დოკუმენტირება და ასახვა სტატისტიკურ ანგარიშებში, მაგრამ სამინისტროში არ არსებობს რისკების ანალიზის ერთიანი სისტემა.

დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელობით მიმდინარე კონტროლზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა რისკების ანალიზის ერთიანი

მექანიზმის კონცეფცია. სამუშაო ჯგუფმა რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა, რათა გამოეკვეთა დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელობით მიმდინარე კონტროლში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ENIGMMA-ს ფარგლებში 2015 წლის 5-9 ოქტომბერს საქართველოს ეწვივნენ ბელგიის ფედერალური პოლიციის წარმომადგენლები ამ სფეროში საკუთარი გამოცდილების გასაზიარებლად. ზემოაღნიშნული კონცეფციის საფუძველზე, რომელიც 2015 წლის 22 ოქტომბერს იქნა დამტკიცებული, ასევე პარტნიორ სახელმწიფოებთან ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა დაიწყო ღონისძიებების დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება, რომელიც უნდა დამტკიცდეს რისკების შეფასების სამომავლო სისტემის დანერგვის მიზნით.

- **სამართალდამცავ სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი ოპერატიული თანამშრომლობის შეთანხმებების და სამუშაო მოქმედებების გაძლიერება, კერძოდ, ინტერპოლთან, სათანადო ინფორმაციის დროულად გაზიარება და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და მესამე ქვეყნების კომპეტენტურ სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად ერთობლივი მოქმედებებისა და გამოძიების წარმოება მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესაბამისად და სათანადო არხების მეშვეობით**

საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებებისა და „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონის საფუძველზე. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს იმ ინფორმაციის კატეგორიებს, რომელიც გაზიარებას ექვემდებარება, და არეგულირებს საერთაშორისო თანამშრომლობას პოლიციის უწყებებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების არარსებობის პირობებშიც კი. უკანასკნელ შემთხვევაში თანამშრომლობა მოხდება *ad hoc* გადაწყვეტილების ან ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე. მოთხოვნების შედგენისა და გაგზავნის წესები ჩამოყალიბებულია შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 ოქტომბრის №787 ბრძანებაში. როდესაც წამოიჭრება საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება, პოლიციის რეგიონული ორგანო მოთხოვნას ელექტრონული სახით აგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროში და ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროში და სთხოვს მათ დახმარებას. ინფორმაციის გაცემა შეიძლება მოხდეს სამინისტროს დანაყოფების მიერ, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის თანხმობით.

პოლიციის სამსახურებს შორის ორმხრივ თანამშრომლობას საფუძველად უდევს 25 შეთანხმება უშიშროებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (აქედან 14 გაფორმებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან) და 16 შეთანხმება კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლის თაობაზე (რომელთაგან 13 გაფორმებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან).

პარტნიორებს შორის საქართველოს ხელისუფლების მიმართ ნდობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით შინაგან საქმეთა მინისტრმა 2015 წლის 30 მაისს №387

გამოსცა ბრძანება „პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის ინსტრუქციის შესახებ“ თავის სამინისტროში. ბრძანება მოიცავს სამართალდაცვით სფეროში პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გაზიარებასაც. ბრძანება მიზნად ისახავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ევროპის საბჭოს №R 87(15) რეკომენდაციის შესრულების ხელშეწყობას შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა სამსახურის, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების, მიერ ყველანაირი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო თვეების განმავლობაში ჩაატარა საინფორმაციო პროგრამა, მათ შორის რეგიონებშიც, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიციისა და მთავარი პროკურატურის თანამშრომელთა ინფორმირებას საოპერაციო დონეზე საერთაშორისო თანამშრომლობის მასშტაბის შესახებ. მაგალითად, 2015 წლის 7 მაისს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა გამოსცა ინსტრუქციები არსებულ რესურსებთან და იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა განხორციელდეს საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროების შემთხვევაში. აღნიშნული ინსტრუქციები გაეცნოთ თანამშრომლებს თბილისსა და ძირითად რეგიონულ დანაყოფებში. გარდა ამისა, ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ გამოსცა საინფორმაციო ბროშურა ინტერპოლის მეშვეობით თანამშრომლობის არსებული მექანიზმების შესახებ. დოკუმენტი დაეგზავნათ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარი პროკურატურის შესაბამის თანამშრომლებს. 2015 წლის 7-18 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროსა და პროკურატურის გამომძიებლებს ჩაუტარდათ ტრენინგის ერთობლივი კურსები. ამ კურსებზე განხილული იქნა ის შესაძლებლობები, რომლებსაც მათ სამართალდამცავ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა სთავაზობს.

➤ **EUROPOL-თან ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა მონაცემთა დაცვის სათანადო დონის უზრუნველსაყოფად**

მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა 2014 წლის ივლისის შემდეგ, როდესაც EUROPOL-მა წამოიწყო საქართველოსთან ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მომზადების პროცესი. 2015 წლის ზაფხულის განმავლობაში EUROPOL-მა დაასრულა თავისი შეფასება საქართველოში მონაცემთა დაცვის ადეკვატური დონის არსებობასთან დაკავშირებით, რაც მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობას წარმოადგენს. საქართველოს მონაცემთა დაცვის სისტემის დეტალური შესწავლა განხორციელდა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ ორგანოებმა EUROPOL-ს გადასცეს დეტალური ინფორმაცია შევსებული კითხვარების ფორმით, ასევე მიაწოდეს ინფორმაცია ვიდეოკონფერენციების და მონაცემთა დაცვის შემსწავლელი ვიზიტის დროს, რომელიც 2015 წლის 2-5 ივნისს ჩატარდა. ექსპერტებმა ჩაატარეს შეხვედრები შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის,

მთავარი პროკურატურისა და ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებთან. მონაცემთა დაცვის შესახებ ანგარიში EUROPOL-ის მმართველ საბჭოს 2015 წლის 6 ოქტომბერს წარედგინა. მმართველმა საბჭომ დაამტკიცა ანგარიშის გადაგზავნა ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭოსათვის. ერთობლივმა სამეთვალყურეო საბჭომ თავისი დასკვნა წარუდგინა მმართველ საბჭოს, რომელმაც 2015 წლის 1 დეკემბერს გასცა ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების დაწყების ნებართვა. ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებისთვის ოფიციალური სახის მისაცემი საბოლოო ნაბიჯები მომავალ თვეებში განხორციელდება.

2.3.4. მონაცემთა დაცვა

პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ნიშნული, რომელიც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა მესამე მიმდინარე ანგარიშში, კვლავ დაკმაყოფილებულია.

2.4. ბლოკი 4: საგარეო ურთიერთობები და ადამიანის ძირითადი უფლებები

2.4.1. საქართველოს ფარგლებში გადაადგილების თავისუფლება

საქართველოს ფარგლებში გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული ნიშნული, რომელიც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა მესამე მიმდინარე ანგარიშში, კვლავ დაკმაყოფილებულია.

2.4.2. სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის პროცედურები და პირობები

სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის პროცედურებსა და პირობებთან დაკავშირებული ნიშნული, რომელიც დაკმაყოფილებულად ჩაითვალა მესამე მიმდინარე ანგარიშში, კვლავ დაკმაყოფილებულია.

2.4.3. მოქალაქეთა უფლებები, უმცირესობათა დაცვის ჩათვლით

- ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ეფექტიანი იმპლემენტაცია, ეფექტიანი იურიდიული დახმარებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ჩათვლით; გაერო-სა და ევროპის საბჭოს შესაბამისი ინსტრუმენტების იმპლემენტაცია

ანტიდისკრიმინაციული კანონი დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის კონტროლის ფუნქციას სახალხო დამცველის აპარატს აკისრებს.

კანონის ნაკლოვანებათა საფუძვლიანად განხილვის შემდეგ სახალხო დამცველის აპარატი 2015 წლის 11 თებერვალს პარლამენტს მიმართა წინადადებით, ცვლილებები შეეტანა სამ სამართლებრივ აქტში: „შრომის კოდექსის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში ცვლილებების შესატანად საჭიროა, რომ კერძო პირებმა სახალხო დამცველს მიაწოდონ აუცილებელი მასალები, დოკუმენტები ან ინფორმაცია საქმის განსახილველად.

სათანადოდ იქნა გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების, ასევე იურიდიული კომიტეტის საკანონმდებლო წინადადებები. ადამიანის უფლებების კომიტეტში ჩამოყალიბებულმა სამუშაო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა და მოამზადა შესაბამისი ცვლილებები. მოსალოდნელია, რომ 2015 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ ცვლილებებს ასახავს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში.

- ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ღონისძიებების ეფექტიანი იმპლემენტაცია დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით (შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფის ჩათვლით); ზოგადი ინფორმირებულობის დონის ამაღლება რასიზმის, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების წინააღმდეგ მიმართული კამპანიების საშუალებით; ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკისა და რასიზმთან, ქსენოფობიასა და დისკრიმინაციის სხვა ფორმებთან ბრძოლის კუთხით პასუხისმგებელი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. სახალხო დამცველის აპარატი საკვანძო როლს ასრულებს დისკრიმინაციის აღმოფხვრის მცდელობათა მონიტორინგსა და მეთვალყურეობაში. 2014 წლის ნოემბრიდან მას დახმარებას უწევს თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც აღიჭურვა საკმარისი რაოდენობის ადამიანური რესურსებითა და ბიუჯეტით სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის დასახმარებლად, მათ შორის საზოგადოების ინფორმირების სფეროში. ტელევიზიით და სოციალური მედიით გადაიცემოდა სარეკლამო ვიდეორგოლი, რომელიც მიზანად ისახავდა იმ საფუძვლების განმარტებას, რომლებითაც აკრძალულია დისკრიმინაცია, ასევე განაცხადის შეტანის პროცედურის განმარტებას სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან დახმარების მისაღებად. სახალხო დამცველის აპარატის ვებგვერდზე აიტვირთა და ყველასათვის ხელმისაწვდომია საქართველოში თანასწორობის მექანიზმთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვები და მათზე პასუხები. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ორგანიზებული იქნა ტრენინგის კურსები თანასწორობისა და მრავალფეროვნების შესახებ ინფორმირებულობის გასაზრდელად. კერძოდ, სამინისტროს პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგის კურსები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ (ეს თემა ასევე ჩართული იქნა პოლიციის ოფიცრების აკადემიის კურიკულუმში) და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ. ტრენინგის მეცადინეობებს ჟურნალისტები და სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

გარდა ამისა, მზადდება ბროშურები დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან და თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი სავარაუდოდ 2015 წლის ნოემბერში დაიწყება) და ისინი გავრცელდება სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამსახურებისა და იუსტიციის სახლების მიერ. ეს საინფორმაციო ბროშურები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე იქნება ხელმისაწვდომი.

დაბოლოს, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო ატარებდა საინფორმაციო კამპანიებს მთელ საქართველოში ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და მთავრობის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. აღნიშნული კამპანია ხელს უწყობს საქართველოს ყველა რეგიონში მოქალაქეთათვის და სახელმწიფოს წარმომადგენელთათვის თავისუფლების, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და მრავალფეროვნების ცნებების შესახებ ცოდნის მიწოდებას.

თემების ინფორმირებულობის გაზრდა მათი მოქალაქეების უფლებების, ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისებისა და შეღავათების შესახებ

საქართველოს მოსახლეობაში შედის ეთნიკურ უმცირესობათა მნიშვნელოვანი წილი. ეს უმცირესობები ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 16%-ს შეადგენენ (მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით).

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, რომელსაც ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკის კოორდინირება აკისრია, საკვანძო როლი შეასრულა თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ახალი სტრატეგიის შემუშავებაში. ყურადღება გამახვილდა ეთნიკური უმცირესობებისთვის გადაწყვეტილებათა მიღებაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და სახელმწიფო სამსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, მათ შორის ენობრივი ბარიერების დაძლევის მეშვეობით. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან ერთად იქნა განხილული.

შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ორგანიზება გაუწია და მონაწილეობდა უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულ ლექციებსა და სემინარებში ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ.

2014 წლის შემდეგ გაიმართა რამდენიმე საინფორმაციო ღონისძიება ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული ღონისძიებები ჩაატარეს:

- იუსტიციის სამინისტრომ - არალეგალური მიგრაციისა და დამცავი ზომების შესახებ;

- საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ - საარჩევნო პროცედურების შესახებ. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანებისათვის თანასწორი საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა ტრენინგები, რომელთა სამიზნე ჯგუფებს უმცირესობათა წარმომადგენელი ახალგაზრდა ამომრჩევლები, ქალები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები წარმოადგენდნენ, რომლებიც შეიძლება ჩართულნი იქნენ არჩევნების პროცესში. საარჩევნო დოკუმენტები ითარგმნება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე;

- სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ - კანონმდებლობის ახალი ნორმების, ანტიდისკრიმინაციული რეგულაციების, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ;

- ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ - საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის, კერძოდ კი ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების შესახებ (საინფორმაციო მასალები ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე მომზადდა);

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ - ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და სოციალური შემწეობების შესახებ. ბროშურები და ბუკლეტები სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სოციალური დაცვის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და C ჰეპატიტის პროგრამების შესახებ ეთნიკურ უმცირესობათა ენებზეა მომზადებული;

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ - სოფლის მეურნეობის სფეროში კონკრეტული პროგრამებისა და ინიციატივების შესახებ (ამ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობები უფრო ფართო საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იქნენ ჩართულები).

განათლება უდავოდ გადამწყვეტ როლს თამაშობს ფართო ქართულ საზოგადოებაში ეთნიკურ უმცირესობათა მდგრადი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. 2010 წელს დანერგილი „უმაღლესი განათლების შემსუბუქების სისტემა“ (ანუ კვოტები ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი სტუნდენტებისათვის) წარმატებული გამოდგა, ვინაიდან არაქართველი სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო პროგრამები უმაღლეს

სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის. მოსამზადებელი მასალები ითარგმნა და გამოქვეყნდა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

გარდა ამისა, დახმარება გაეწიათ ბოშებს მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით. იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს ბოშებისთვის იურიდიული დახმარების გაწევას შესაფერისი სტატუსის მოსაპოვებლად აუცილებელი ნაბიჯების გადადგმაში.

დაბოლოს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ახორციელებს სპეციალურ პროგრამას ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების იდენტობებისა და კულტურების პროპაგანდირებისა და პოპულარიზაციის მიზნით. „ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ხელშეწყობა“ მრავალ აქტივობას (გამოფენებს, კონცერტებს, ფესტივალებს), ასევე მუზეუმებს, თეატრებსა და პუბლიკაციებს აფინანსებს.

ახალი სტრატეგია შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშესაწყობად

2014 წელს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა წამოიწყო 2009-2014 წლების შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და მისი სამოქმედო გეგმის განხილვის პროცესი. ამის მიზანი იყო სამოქმედო გეგმის განხორციელების და იმ მომენტამდე განხორციელებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამების ზეგავლენის შეფასება. 2014 წლის ივნისში გამოქვეყნებულ შეფასებაში მოცემულია დასკვნა, რომ საჭიროა სტრატეგიის ადაპტირება და ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების გათვალისწინება.

ახალი სტრატეგია მომზადდა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობაზე და კონსულტაციებზე დაყრდნობით. ეს მხარეები არიან: ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, ადგილობრივი და სამოქალაქო საზოგადოების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, პოლიტიკური პარტიები და ექსპერტები. კონსულტაციები ჩატარდა ასევე ეთნიკურ უმცირესობათა და ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლებთან.

საქართველოს ხელისუფლებამ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისათვის 2015 წლის 17 აგვისტოს დაამტკიცა. სტრატეგია ითარგმნება ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სახელმწიფო უწყებათაშორისო კომისიას აკისრია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, მათ შორის 2020 წლისთვის მისაღწევი შედეგების, განხორციელების მონიტორინგის პასუხისმგებლობა. ამჟამად ხდება კომისიის შემადგენლობის განახლება, რათა მასში წარმოდგენილი იყოს ყველა შესაბამისი ინსტიტუცია, მათ შორის სახალხო დამცველის აპარატის ფარგლებში მოქმედი ეროვნულ უმცირესობათა საბჭო. სამოქმედო გეგმა მოიცავს ნიშნულებს და კონკრეტულ ინდიკატორებს თითოეული სფეროსათვის. განხორციელების პროცესში ჩართული თითოეული სახელმწიფო უწყება მოამზადებს დეტალურ წლიურ სამოქმედო გეგმას თავისი კომპეტენციის სფეროში. შესწორებული სტრატეგიის განხორციელების საერთო შეფასება გათვალისწინებულია შუალედურ ეტაპზე (2017 წელს) და მისი დასრულებისას 2020 წელს.

სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო უწყებებმა, საკუთარი პროფილისა და კომპეტენციების ფარგლებში.

ტრენინგი იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის

კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განსახორციელებლად სახალხო დამცველის აპარატი და შესაბამისი სამინისტროები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ევროკავშირთან, ევროპის საბჭოსთან, გაერო-ს განვითარების პროგრამასთან, ასევე ფონდ „ღია საზოგადოებასთან“ და ზოგიერთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ თანასწორობის სტრუქტურების ევროპული გაერთიანების (EQUINET) ფარგლებში ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებს.

იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებმა უშუალო სარგებელი მიიღეს სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გამოცდილების გაზიარების შედეგად. პროკურატურამ ორგანიზება გაუწია რამდენიმე ტრენინგს პროკურორებისათვის დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებების და სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის განმარტების შესახებ. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ წამოიწყო დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე კურიკულუმის მომზადება, აქცენტით საქართველოს ახალ ანტიდისკრიმინაციულ კანონზე და შესაბამის საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებზე. იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უკვე ჩაატარა ორი ტრენინგი მოსამართლეებისათვის გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის მაისის შემდეგ ორგანიზებული აქვს 11 ტრენინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით გამომძიებლებისათვის დროებითი დაკავების იზოლატორებში ადამიანის უფლებათა ადეკვატური დაცვის შესახებ. სულ შინაგან საქმეთა

სამინისტროს და პროკურატურის 220 წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგი დისკრიმინაციის აღმოფხვრის თემაზე.

დანართი

უსაფრთხოებასა და მიგრაციულ საკითხთა ზეგავლენის შეფასება

1. შესავალი

1.1. ზოგადი ინფორმაცია

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მეორე ფაზაზე გადასვლამდე ევროკომისიამ გადაწყვიტა, ჩაეტარებინა მომავალში საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში³ გადაადგილებისთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პოტენციური ზეგავლენის შეფასება უსაფრთხოებასა და მიგრაციულ პროცესებზე. საფუძვლიანი შეფასება წარმოდგენილი იქნა ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტში (შემდგომში „სამუშაო დოკუმენტი“)⁴, რომელიც თან ახლავს მეორე მიმდინარე ანგარიშს საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.⁵

მას შემდეგ, რაც საქართველომ დაიწყო სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის განხორციელება, სამუშაო დოკუმენტში, რომელიც თან ახლავს მესამე მიმდინარე ანგარიშს საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ,⁶ ევროკომისიამ წარმოადგინა განახლებული ინფორმაცია იმ სხვადასხვა პოტენციურ ზეგავლენასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება მოახდინოს შენგენის სივრცეში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლამ.

1.2. მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი იძლევა 2015 წლის მაისში გამოქვეყნებულ დოკუმენტში მოცემული სხვადასხვა ზეგავლენის შეფასების განახლებულ ვერსიას. აღნიშნულ შეფასებას საფუძვლად დაედო 2015 წლის ოქტომბერში ევროკავშირის უწყებებისა და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. წინამდებარე დოკუმენტი ასევე ეყრდნობა ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების წყაროებს და Eurostat-ის მონაცემებს.

³ უარი ვიზის გაცემაზე ეხება შენგენის სივრცეს, მათ შორის: ევროკავშირის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც შედიან შენგენის ზონაში, ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებშიც შენგენის ზონის წესები ჯერ სრულად არ ამოქმედებულა და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროკავშირის წევრებს, მაგრამ შედიან შენგენის ზონაში.

⁴ COM(2014) 681 final

⁵ SWD(2014) 334 final

⁶ SWD(2015) 103 final.

წარმოდგენილი დოკუმენტი მიზნად ისახავს, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაადგინოს ახალი ფენომენები და ტენდენციები მიგრაციის, მობილურობისა და უსაფრთხოების სფეროებში საქართველოსთან და იმ სავარაუდო ზეგავლენასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა უვიზო რეჟიმმა იქონიოს ევროკავშირისა და შენგენის სივრცისათვის. წინამდებარე განახლებული დოკუმენტი ასახავს 2015 წლის ოქტომბრისთვის არსებულ მდგომარეობას და, შესაბამისად, მოკლედ ახასიათებს სიტუაციას.

წარმოდგენილი შეფასება არ წარმოადგენს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ნიშნულს. თუმცა დოკუმენტში ჩამოთვლილია საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ზოგიერთი ღონისძიება და მიზნობრივი ქმედება, კერძოდ, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში შემუშავებული ღონისძიებები და ქმედებები, რომლებიც მიმართულია იმ საკითხების მოგვარებაზე, რომლებიც სავარაუდოდ წარმოიშობა მიგრაციისა და უსაფრთხოების სფეროებში, როგორც ეს იდენტიფიცირებულია სხვადასხვა ზეგავლენის შეფასებაში. დაბოლოს, დოკუმენტში ჩამოყალიბებულია შერბილების შესაძლო ზომები, რომლებიც შეიძლება განხორციელონ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა.

2. მიგრაციის სხვადასხვა ზეგავლენის შეფასება

2.1. რეგულარული და არარეგულარული მიგრაცია: ტენდენციები და უვიზო მიმოსვლის სხვადასხვა პოტენციური ზეგავლენა

2.1.1. ზოგადი მიმოხილვა

ქართველთა მიგრაციას უცხოეთში უმეტესწილად მეზობელ ქვეყნებში სპონტანური ცირკულარული მოძრაობის ხასიათი აქვს. მსოფლიოს მასშტაბით ქართველ მიგრანტთა რაოდენობა დაახლოებით 770 000-ია,⁷ აქედან 630 000 რუსეთშია, საქართველოს 66 042 მოქალაქეს კი 2013 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ბინადრობის მოქმედი ნებართვა ჰქონდა.⁸ Eurostat-ის მონაცემებით, იმ ქართველ მიგრანტთა შორის, რომელთაც 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ბინადრობის მოქმედი ნებართვა ჰქონდათ, 35% მამაკაცია, ხოლო 65% - ქალი. მამაკაცები ძირითადად მუშაობენ იმ დარგებში, სადაც ფიზიკური შრომა მოითხოვება (მშენებლობა, სოფლის მეურნეობა), ხოლო ქალები უფრო საშინაო ან სეზონურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ.

საქართველოდან სამუშაო ძალის მიგრაციის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორებია ვალუტის გაუფასურების მაღალი მაჩვენებელი, ინფლაცია,

⁷ ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტი / მიგრაციის პოლიტიკის ცენტრი – „საქართველოს მიგრაციის პროფილი, 2013“.

⁸ Eurostat-ის მონაცემები.

უმუშევრობის მაღალი დონე და ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა. თუმცა ქვეყანაში აღინიშნება პოზიტიური საინვესტიციო კლიმატი, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 20 წლის განმავლობაში მყარად იზრდებოდა, ხოლო უმუშევრობა ქვეყანაში 15%-დან 2012 წელს და 14.6%-დან 2013 წელს შემცირდა 12.4%-მდე 2014 წელს.⁹ საქართველოს, რომელშიც 2013 წელს 15 წლამდე ასაკის მოსახლეობა 18%-ს შეადგენდა,¹⁰ უახლოეს მომავალში მოუწევს ფართო ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რათა თავიდან აიცილოს ემიგრაციის დიდი ნაკადები. საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება ეკონომიკური და სოციალური განვითარება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეებზე (ანუ ბიზნესის წარმოების სტიმულირება, დასაქმების ხელშეწყობა, სიღარიბის შემცირება, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა, განათლება, უფლებათა დაცვა, ინტეგრაციის პროგრამები და ა.შ.).

უკეთესი სამუშაო პირობები ის მთავარი მიზეზია, რატომაც მიდიან საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია შრომითი მიგრაციისთვის პოპულარულად ადგილად რჩება. ეკონომიკური შესაძლებლობები და კავშირები ევროკავშირთან განაპირობებს მიგრაციულ მოძრაობას საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართველ მოქალაქეთა მიგრაციისთვის პოპულარული ადგილებია საბერძნეთი, იტალია და გერმანია, თუმცა ისინი მიგრაციის მიზნებით განიხილავენ რამდენიმე სხვა წევრ სახელმწიფოსაც - ესპანეთს, საფრანგეთს, ბელგიას, ავსტრიას, პოლონეთს, შვედეთსა და გაერთიანებულ სამეფოს. შესაბამისად, ქართველები ფართოდ არიან მიმოფანტულნი ევროპულ ქვეყნებში, თუმცა კომპაქტურ თემებს ევროკავშირის მხოლოდ მცირე რაოდენობის წევრ სახელმწიფოებში აყალიბებენ. ქართველთა მიგრაციის სხვა ჩვეულებრივი ადგილებია ამერიკის შეერთებული შტატები და თურქეთი.

ჩამოყალიბებული დიასპორის არსებობა ასევე შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი მიმზიდველი ფაქტორი, მსოფლიოს სხვა რეგიონებთან შედარებითაც კი. ქართული დიასპორა ევროპაში პატარაა და კონცენტრირებულია საბერძნეთში, გერმანიაში, იტალიასა და ესპანეთში.

როგორც შედარებით დაბალი მთლიანი ციფრები ცხადყოფს, საქართველო არ შედის ევროკავშირში ჩასულ მიგრანტთა წარმოშობის ძირითად ქვეყნებში და მიგრაცია ევროკავშირში რაოდენობრივად შთამბეჭდავი არ არის.

2.1.2 ფაქტობრივი მონაცემები რეგულარულ მიგრაციასთან დაკავშირებით

⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), დასამქებასა და უმუშევრობასთან დაკავშირებული მონაცემები (http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=146&lang=eng)

¹⁰ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - მისია საქართველოში: <http://iom.ge>.

ქვემოთ მოცემული პირველი ცხრილი Eurostat-ის მონაცემებით, რომელსაც საფუძვლად უდევს ბინადრობის მოქმედი ნებართვები 2013 წელს და 2014 წლისთვის არსებული მონაცემები, გვიჩვენებს, რომ ქართველ მოქალაქეთა ყველაზე დიდი თემები ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში მდებარეობს საბერძნეთში (16 392 ქართველი ბინადრობის მოქმედი ნებართვებით 2013 წელს), იტალიაში (14 130 ქართველი 2014 წელს), გერმანიაში (11 223 ქართველი 2014 წელს), ესპანეთში (9 318 ქართველი 2014 წელს) და საფრანგეთში (5 564 ქართველი 2014 წელს). თუ ამ ციფრებს შევადარებთ ბინადრობის იმ მოქმედი ნებართვების რაოდენობას, რომლებიც წარმოშობის სხვა ქვეყნების შემთხვევაშია რეგისტრირებული (მაგალითად, ბინადრობის 850 000-მდე მოქმედ ნებართვას უკრაინელთათვის 2013 წელს), იმ ქართველთა მთლიანი რაოდენობა, რომლებსაც 2013 წელს ბინადრობის მოქმედი ნებართვები ჰქონდათ - 66 042 - შედარებით მცირე რაოდენობად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

თუმცა მონაცემები ასევე აჩვენებს ბინადრობის ნებართვების რაოდენობის ზრდას ყოველწლიურად 2011 წლიდან მოყოლებული ევროკავშირის ყველა ქვეყნისთვის: 2012-2013 წლებში გაცემული იყო დაახლოებით 5 000 ნებართვით მეტი, რაც შეესაბამება ევროკავშირისთვის პრიორიტეტის მინიჭების შემთხვევათა მზარდ რაოდენობას.

ცხრილი 1: ბინადრობის ყველა მოქმედი ნებართვა მიზეზის, მოქმედების ვადის და მოქალაქეობის (ქართველები) მიხედვით, 2011-2014

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და შენგენის სივრცე	2011	2012	2013	2014
ევროკავშირი (28 ქვეყანა)	57 565	60 188	66 042	NA
ბელგია	2 021	1 944	1 813	1 720
ბულგარეთი	67	79	75	133
ჩეხეთის რესპუბლიკა	836	724	773	839
დანია	136	135	141	137
გერმანია	10 143	10 567	10 741	11 223
ესტონეთი	244	252	275	338
ირლანდია	367	364	312	327
საბერძნეთი	16 523	15 532	16 392	NA
ესპანეთი	7 516	8 275	8 907	9 318
საფრანგეთი	3 945	4 468	5,027	5 564
ხორვატია	NA	NA	7	5
იტალია	9 467	11 042	13 051	14 130
კვიპროსი	1 248	NA	954	773
ლატვია	243	251	289	282
ლიტვა	243	308	325	430
ლუქსემბურგი	11	15	15	22
უნგრეთი	247	226	170	NA
მალტა	47	48	71	66
ნიდერლანდები	733	680	483	NA

ავსტრია	1 073	1 352	1 560	NA
პოლონეთი	585	924	1 320	1 441
პორტუგალია	1 042	951	902	847
რუმინეთი	36	49	79	86
სლოვენია	11	14	13	14
სლოვაკეთი	73	65	64	64
ფინეთი	81	95	42	59
შვედეთი	542	605	1 221	578
გაერთიანებული სამეფო	NA	1 109	1 020	1 014
ისლანდია	6	6	6	NA
ლიხტენშტეინი	NA	NA	2	2
ნორვეგია	72	84	91	86
შვეიცარია	NA	397	410	414

წყარო: Eurostat-ის მონაცემები. უკანასკნელად განახლებულია 2015 წლის 9 ოქტომბერს, მოძიებულია 2015 წლის 9 ოქტომბერს.

თუ შევადარებთ მეზობელ ქვეყნებს სამხრეთი კავკასიიდან, უკეთესი სამუშაო პირობები (უფრო მაღალი ხელფასები) და დიასპორის არსებობა სავარაუდოდ ორი მთავარი მიზეზია იმისათვის, რომ ქართველმა მიგრანტებმა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მიგრაცია ამჯობინონ.

როგორც მე-2 ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, როდესაც საქმე ეხება რეგულარულ მიგრაციას ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში, იმ ქართველ მიგრანტთა რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ ბინადრობის მოქმედ ნებართვებს, მერყეობს 11 596 ნებართვიდან (2010 წელს დარეგისტრირებული მაქსიმალური რაოდენობა) 2013 წელს გაცემულ 9 850 და 2014 წელს გაცემულ 9 457 ბინადრობის ნებართვამდე (ავსტრიიდან ჯერ არ არის მიღებული საბოლოო მონაცემები). შესაბამისად, 2014 წლისთვის არსებული მონაცემები ზოგადად ადასტურებს იმავე ტენდენციას, რაც გასულ წლებში აღინიშნებოდა, მნიშვნელოვანი ზრდით საფრანგეთში და მნიშვნელოვანი განსხვავებებით წევრ სახელმწიფოებს შორის 2013 და 2014 წლებში.

ბინადრობის ნებართვები უმეტესწილად გაიცემოდა საფრანგეთში (869 - 2013 წელს, 1 653 - 2014 წელს), იტალიაში (2 573 - 2013 წელს, 1 402 - 2014 წელს), გერმანიაში (1 284 - 2013 წელს, 1 312 - 2014 წელს), პოლონეთში (1 211 - 2013 წელს, 1 342 - 2014 წელს) და საბერძნეთში (809 - 2013 წელს, 1 096 - 2014 წელს); ამ ქვეყნებს მოჰყვებოდნენ ესპანეთი (901 - 2013 წელს, 802 - 2014 წელს) და გაერთიანებული სამეფო (565 - 2013 წელს, 521 - 2014 წელს).

გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობის მოულოდნელი ზრდა 2009/2010 და 2013 წლებში სავარაუდოდ უკავშირდება პოლიტიკურ მოვლენებს (2008/2012 სამხედრო კონფლიქტი და 2012 წელს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლა).

ცხრილი 2: ბინადრობის პირველი ნებართვები მიზეზის, მოქმედების ვადის და მოქალაქეობის (საქართველო) მიხედვით, 2009-2014

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და შენგენის სივრცე	2009	2010	2011	2012	2013	2014
ევროკავშირი (28 ქვეყანა)	9 514	11 599	7 617	8 508	9 850	9 457
ბელგია	395	339	217	148	98	113
ბულგარეთი	23	22	22	26	13	38
ჩეხეთის რესპუბლიკა	167	176	95	130	161	147
დანია	27	26	24	9	17	13
გერმანია	806	799	806	1 243	1 284	1 312
ესტონეთი	65	83	66	58	64	103
ირლანდია	79	45	56	49	57	68
საბერძნეთი	697	757	569	676	809	1 096
ესპანეთი	922	875	1 240	992	901	802
საფრანგეთი	602	575	600	718	869	1 653
ხორვატია	NA	NA	NA	NA	1	2
იტალია	3 590	5 898	1 483	1 952	2 573	1 402
კვიპროსი	243	187	184	133	137	99
ლატვია	59	72	94	81	100	67
ლიტვა	72	34	45	122	95	159
ლუქსემბურგი	6	1	2	3	4	6
უნგრეთი	68	59	56	50	109	100
მალტა	22	8	12	19	21	17
ნიდერლანდები	156	112	85	93	142	112
ავსტრია	352	384	552	500	341	NA
პოლონეთი	147	241	537	640	1 211	1 342
პორტუგალია	111	107	86	67	58	74
რუმინეთი	28	13	9	13	45	46
სლოვენია	4	7	9	6	3	5
სლოვაკეთი	21	20	24	16	12	8
ფინეთი	14	8	11	19	17	22
შვედეთი	150	156	163	172	143	130
გაერთიანებული სამეფო	688	595	570	573	565	521
ისლანდია	0	0	0	0	1	NA
ლიხტენშტეინი	NA	NA	NA	NA	1	1
ნორვეგია	12	22	29	42	34	36
შვეიცარია	NA	NA	NA	76	84	46

წყარო: Eurostat-ის მონაცემები. უკანასკნელად განახლებულია 2015 წლის 8 ოქტომბერს, მოძიებულია 2015 წლის 9 ოქტომბერს.

ასევე უნდა აღინიშნოს სხვადასხვა ტიპის ვიზების გაცემაზე თანხმობისა და უარის მაჩვენებლები.

რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს, შინაგან საქმეთა გენერალური დირექტორატის (DG HOME) მონაცემების მიხედვით, რომლებიც ემყარება წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, 2013 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეების მიერ შეტანილი იყო 82 159 განაცხადი მოკლევადიან ვიზაზე, ხოლო 2014 წელს - 93 126 განაცხადი. ეს წარმოადგენს 13%-იან ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნავს ქართველებს შორის ევროკავშირში მოგზაურობის მიმართ ინტერესის ზრდას. ასევე მაღალია მოთხოვნა მრავალჯერად ვიზებზე; ყოველწლიურად გაიცემა დაახლოებით 26 000 ამგვარი ვიზა.

2014 წელს საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ყველაზე მეტი ვიზა გასცა გერმანიამ, რომელსაც მოსდევდნენ ნიდერლანდები და იტალია. აღნიშნული მონაცემები მიახლოებით კორელაციაშია ევროკავშირში არსებულ საქართველოს თემებთან.

მოკლევადიან ვიზაზე საქართველოს მოქალაქეების მიერ შეტანილ განაცხადებზე უარის საშუალო მაჩვენებელი ოდნავ გაიზარდა 11.5%-დან 2013 წელს 12.7%-მდე 2014 წელს და კვლავ შედარებით მაღალია მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან (5.1%) შედარებით. მრავალჯერადი ვიზების გაცემის მაჩვენებელი 2014 წელს 28.2%-ს შეადგენდა - ის ოდნავ შემცირდა 2013 წლის მაჩვენებელთან (31.6%) შედარებით. თუმცა ეს გარემოება გამოიწვია მრავალჯერადი ვიზების გაცემის იტალიაში არსებული პოლიტიკის ცვლილებამ, რომლის თანახმად მრავალჯერადი ვიზები აღარ გაიცემა ხანმოკლე პერიოდებისათვის.

ვიზაზე უარის თქმის მაჩვენებლები ძლიერ განსხვავდება ქვეყნების მიხედვით - 4.5%-დან პოლონეთში 2014 წელს 20.7%-მდე ნიდერლანდებში, რაც ასახავს არარეგულარულ მიგრაციასთან ასოცირებული რისკის დონის განსხვავებულ აღქმას. ვიზაზე უარის თქმის აღნიშნული მაღალი მაჩვენებლები შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ საქართველოს მოქალაქეები ხშირად მათი მოგზაურობის მიზნად მოტყუებით მიუთითებენ საქმიან, ტრენინგის ღონისძიებებს თუ ნაცნობებთან სტუმრობას, ასევე გაყალბებული თანმხლები დოკუმენტების დიდი რაოდენობით, როგორც არის გაყალბებული ამონაწერები ბანკიდან ან სამსახურის ცნობები, რომლებსაც განმცხადებლებს ხშირად აძლევენ დამხმარე ორგანიზაციები. მთავარი რისკი აშკარად ის არის, რომ ეს ვიზები გამოყენებული შეიძლება იქნეს სხვა წევრ სახელმწიფოებში გადასასვლელად და/ან სხვა, განაცხადში მითითებულისგან განსხვავებული, მიზნით გამგზავრებისთვის (მაგალითად, უნებართვოდ მუშაობისთვის). არარეგულარულ მიგრაციასთან ასოცირებული რისკის დონის განსხვავებული აღქმები სავარაუდოდ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდეგაც დარჩება და მსგავსი მოსაზრებებით იქნება განპირობებული (მიმდებ ქვეყანაში ნებადართულზე მეტი ხნით დარჩენა ან უვიზო მიმოსვლით ბოროტად სარგებლობა არალეგალურად მუშაობის მიზნით).

ცხრილი 3: განაცხადები შენგენის მოკლევადიან და მრავალჯერად ვიზაზე საქართველოში, 2013-2014 (ქვეყნები, რომლებსაც აქვთ საკონსულოები საქართველოში)

შენგენის სახ.	C ვიზებზე განაცხ. 2013 წელს	2013 წელს გაცემ. C ვიზები	2013 წელს გაცემ. MEV ვიზები	MEV ვიზების გაცემის მაჩვ. 2013 წელს	2013 წელს გაუცემელი C ვიზები	C ვიზის გაცემაზე უარის მაჩვ. 2013 წელს	C ვიზებზე განაცხ. 2014 წელს	2014 წელს გაცემ. C ვიზები	2014 წელს გაცემ. MEV ვიზები	MEV ვიზების გაცემის მაჩვ. 2014 წელს	2014 წელს გაუცემელი C ვიზები	C ვიზის გაცემაზე უარის მაჩვ. 2014 წელს	C ვიზებზე განაცხადები - ცვლილება 13-14	გაცემული C ვიზები - ცვლილება 13-14
ჩეხეთის რესპ.	8,760	7,791	587	7.5%	968	11.1%	7,832	6,709	605	9.0%	1,123	14.3%	-10.6%	-13.9%
ესტონეთი	2,461	2,039	705	34.6%	421	17.1%	1,651	1,535	588	38.3%	104	6.3%	-32.9%	-24.7%
საფრანგეთი	7,963	7,070	1,611	22.8%	891	11.2%	7,661	6,710	1,836	27.4%	942	12.3%	-3.8%	-5.1%
გერმანია	17,625	15,592	2,918	18.7%	2,024	11.5%	16,739	15,795	3,143	19.9%	943	5.6%	-5.0%	1.3%
საბერძნეთი	6,144	5,294	511	9.7%	850	13.8%	10,048	8,672	600	6.9%	1,376	13.7%	63.5%	63.8%
იტალია	13,464	12,185	11,673	95.8%	1,271	9.4%	14,906	12,886	9,338	72.5%	2,018	13.5%	10.7%	5.8%
ლატვია	2,832	2,589	943	36.4%	243	8.6%	4,127	3,871	962	24.9%	255	6.2%	45.7%	49.5%
ლიტვა	5,305	4,172	1,748	41.9%	1,192	22.5%	4,741	3,726	1,471	39.5%	941	19.8%	-10.6%	-10.7%
ნიდერლანდები	10,293	9,032	3,450	38.2%	1,254	12.2%	17,888	13,924	5,615	40.3%	3,708	20.7%	73.8%	54.2%
პოლონეთი	3,153	2,972	979	33.5%	231	7.3%	3,890	3,715	1,393	37.5%	175	4.5%	23.4%	27.1%
შვეიცარია	4,159	4,016	877	21.8%	140	3.4%	3,643	3,424	704	20.6%	217	6.0%	-12.4%	-14.7%
სულ	82,159	72,702	26,002	31.6%	9,485	11.5%	93,126	80,967	26,255	28.2%	11,802	12.7%	13.3%	11.4%

წყარო: ევროკომისია, მიგრაციისა და შინაგან საქმეთა გენერალური დირექტორატი. 2015 წლის ოქტომბერი

შეუძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად შეუშალა ხელი ვიზებთან დაკავშირებულმა მოთხოვნებმა ქართველებს ევროკავშირში გამგზავრებაში. მაგრამ გონივრული იქნებოდა დაგვეჭვა, რომ როდესაც ქართველებისთვის გაუქმდება სავიზო მოთხოვნები, უფრო სავარაუდოა, რომ მათ დატოვონ თავიანთი ქვეყანა ევროკავშირში გასამგზავრებლად. თუმცა ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობა ასევე გადამწყვეტი ფაქტორი იქნება გამგზავრებასთან დაკავშირებული მათი გადაწყვეტილების მიღებისას.

სავიზო მოთხოვნების გაუქმების შედეგად მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში მიგრაციული ნაკადების ცირკულარული ხასიათის ზრდა, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს ხალხებს შორის კონტაქტებს.

2.1.3. არარეგულარული მიგრაციის ტენდენციები

შესვლის ადგილები

ქართველები, ჩვეულებრივ, ევროკავშირში შესასვლელად რამდენიმე სახმელეთო გზით სარგებლობენ - ეს არის ძირითადად პოლონეთი და ლატვია, და ბევრად

ნაკლებ შემთხვევაში - საბერძნეთი და ლიტვა, თუმცა ბევრად მეტი მრავალფეროვნება აღინიშნება იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომლებსაც ისინი საბოლოოდ ანიჭებენ უპირატესობას. ქართველი პოტენციური მიგრანტები სახმელეთო მარშრუტებს სავარაუდოდ იმიტომ ამჯობინებენ, რომ ისინი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე თვითმფრინავით მგზავრობას უვიზოდ ვერ ახერხებენ.

2013 წელს საქართველოს სულ 8 210 მოქალაქეს ეთქვა უარი ევროკავშირში შესვლაზე, როგორც ეს ქვემოთ ცხრილშია ნაჩვენები (Eurostat-ის მონაცემები). შესაბამისი ციფრი 2014 წელს - 3 205 - განაპირობა ძირითადად იმ ფაქტმა, რომ საგრძნობლად შემცირდა პოლონეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზაზე უარის თქმის შემთხვევათა რაოდენობა.

ცხრილი 4: საქართველოს მოქალაქეებისთვის გარე საზღვრებთან ვიზაზე უარის თქმის შემთხვევები 2012-2014

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და შენგენის სივრცე	2012	2013	2014
ევროკავშირი (28 ქვეყანა)	8 980	8 210	3 205
ბელგია	10	10	15
ბულგარეთი	70	50	20
ჩეხეთის რესპუბლიკა	10	10	5
დანია	0	15	0
გერმანია	20	20	25
ესტონეთი	10	0	5
ირლანდია	10	10	5
საბერძნეთი	95	160	210
ესპანეთი	10	5	25
საფრანგეთი	20	30	5
ხორვატია	NA	20	45
იტალია	35	60	70
კვიპროსი	10	0	5
ლატვია	215	320	960
ლიტვა	115	110	145
ლუქსემბურგი	0	0	0
უნგრეთი	10	10	10
მალტა	0	0	0
ნიდერლანდები	60	60	45
ავსტრია	0	0	10
პოლონეთი	8 245	7 250	1 345
პორტუგალია	0	0	0
რუმინეთი	10	25	230
სლოვენია	5	0	5
სლოვაკეთი	0	5	0
ფინეთი	5	0	0
შვედეთი	0	0	5

გაერთიანებული სამეფო	20	25	20
ისლანდია	NA	NA	NA
ლიხტენშტეინი	5	0	0
ნორვეგია	0	0	0
შვეიცარია	5	0	0

წყარო: Eurostat-ის მონაცემები. უკანასკნელად განახლებულია 2015 წლის 20 აგვისტოს, მოძიებულია 2015 წლის 12 ოქტომბერს.

ბელარუსს არა აქვს სავიზო მოთხოვნები საქართველოს მოქალაქეების მიმართ და ორ ქვეყანას შორის არსებობს რეგულარული და პირდაპირი ფრენები, რაც ბელარუსს აქცევს ძირითად სატრანზიტო ქვეყანად ევროკავშირში არარეგულარული მიგრაციისათვის. ამიტომ პოლონეთი ევროკავშირში შესვლის ძირითადი ადგილია და ის გასცემს საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზაზე უარის უმეტეს ნაწილს (7 250 უარი 2013 წელს, მკვეთრი ვარდნით 2014 წელს 1 345 უარამდე); პოლონეთს მოჰყვება ლატვია (960 უარის შემთხვევა 2014 წელს - მნიშვნელოვანი ზრდა 2013 წლის შემდეგ).

ვიზის უქონლობის გამო ბელარუსთან ევროკავშირის აღმოსავლეთის საზღვარზე შესვლაზე უარის მიღების შემდეგ ზოგიერთ მიგრანტს განაცხადი შეაქვს თავშესაფრის თხოვნით, სხვები კი ცდილობენ, საზღვარი არალეგალურად გადაკვეთონ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა კვლავ შედარებით დაბალია (328 შემთხვევა 2013 წელს, 267 - 2014 წელს - Frontex-ის - ევროკავშირის გარე საზღვრებზე ოპერატიული თანამშრომლობის მართვის ევროპული სააგენტოს - მონაცემები) ვიზაზე უარის შემთხვევებთან შედარებით. როდესაც ხდება ხოლმე ამგვარი მცდელობების ან თავისუფალი გადაადგილების ზონაში მეორადი გადაადგილების შემთხვევების აღმოჩენა, საქართველოს მოქალაქეები, ჩვეულებრივ, ითხოვენ თავშესაფარს, თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში მოთავსებისგან თავის არიდების მცდელობით, რათა გააგრძელონ გზა საბოლოო დანიშნულების თავიანთი პრიორიტეტული ქვეყნებისაკენ.

Frontex-ი ასევე აღნიშნავს, რომ საბერძნეთში, რომელიც შესვლის კიდევ ერთი მთავარი ადგილი და საბოლოო დანიშნულების პრიორიტეტული ქვეყანაა, ევროკავშირში უკანონოდ შესვლის გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა. ამგვარი ცვლილების მიზეზებს შორის შეიძლება იყოს რთული სიტუაცია საბერძნეთის შრომით ბაზარზე, რაც საბერძნეთს ნაკლებად მიმზედველს ხდის როგორც საბოლოო დანიშნულების ქვეყანას.

არარეგულარული მიგრანტების გამოვლენა

ცხრილი, რომელშიც მოცემულია Eurostat-ის მონაცემები, გვაჩვენებს იმ არარეგულარული მიგრანტების რაოდენობის საგრძნობ ზრდას, რომლებიც გამოავლინეს როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად

მცხოვრებნი 2013-2014 წლებში; 2013 წელს გამოვლენილი იქნა 4 930 საქართველოს მოქალაქე არარეგულარული მიგრანტი, ხოლო 2014 წელს - 6 290. ყველაზე დიდი რაოდენობა გერმანიაში აღინიშნა (1 580), შემდეგ საფრანგეთში (905), საბერძნეთში (820), შვედეთში (795), იტალიაში (420) და ავსტრიაში (390), რაც გვაჩვენებს არარეგულარული მიგრანტების პრიორიტეტულ მარშრუტს და საბოლოო დანიშნულების ქვეყნებს.

ყველაზე შესამჩნევი ზრდა 2013 წელთან შედარებით საფრანგეთში, შვედეთსა და გერმანიაში დაფიქსირდა, რაც სავარაუდოდ მომავალ წლებში საბოლოო დანიშნულების ახალ პრიორიტეტულ ქვეყნებზე მიუთითებს.

ევროკავშირში არარეგულარულად ყოფნის გამოვლენა შეიძლება ეხებოდეს იმ პირებს, რომლებიც ქვეყანაში უკანონოდ შევიდნენ და მათი არალეგალური ყოფნა გამოვლენილი იქნა, და ასევე იმ პირებს, რომლებიც ქვეყანაში კანონიერად შევიდნენ, მაგრამ გადააჭარბეს მათ ოფიციალურ ვიზაში ან ბინადრობის ნებართვაში მითითებულ დროის ხანგრძლივობას (ანუ პირებს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად შევიდნენ, მაგრამ დარჩნენ ვიზის ამოწურვის შემდეგ ან, საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში, იმ პირებს, რომლებიც ვერ განაახლებენ თავის პირველ ან მომდევნო ბინადრობის ნებართვას, რადგან დაკარგეს სამსახური და შეიძლება ეთხოვოთ ევროკავშირის იმ ქვეყნის დატოვება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ). ვინაიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში არალეგალურად მცხოვრებ პირთა რაოდენობა დიდწილად ასახავს იმ პირთა რაოდენობას, ვინც აჭარბებს ნებადართულ ხანგრძლივობას, ლოგიკურია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც მასპინძლობენ ვიზების/ბინადრობის დროებითი ნებართვების მქონე საქართველოს მოქალაქეთა ყველაზე დიდ რაოდენობას, არიან სწორედ ის ქვეყნები, რომლებშიც აღინიშნება არალეგალურად მცხოვრებ პირთა გამოვლენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

თუმცა, Frontex-ის¹¹ ინფორმაციით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მცხოვრებ პირთა გამოვლენის მაჩვენებლის ზრდა მაშინ, როცა მცირდება ვიზაზე უარის თქმის და საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის შემთხვევათა გამოვლენის მაჩვენებელი, შეიძლება მიუთითებდეს ასევე იმაზე, რომ ხდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შესვლის ლეგალური არხების ბოროტად გამოყენებაც.

ცხრილი 5: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად მცხოვრები და გამოვლენილი მესამე ქვეყნების მოქალაქეები (წლიური მონაცემები ქართველებთან დაკავშირებით), 2008-2014

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და შენგენის	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
--	------	------	------	------	------	------	------

¹¹ აღმოსავლეთის საზღვრებზე არსებული რისკების ყოველწლიური ანალიზი, 2015.

სივრცე							
ევროკავშირი (28 ქვეყანა)	5 005	7 180	5 325	4 285	5 335	4 930	6 290
ბელგია	140	110	125	90	125	115	180
ბულგარეთი	25	25	25	25	15	30	20
ჩეხეთის რესპუბლიკა	95	165	30	70	65	45	30
დანია	5	0	0	0	0	0	0
გერმანია	460	605	710	585	1 085	1 380	1 580
ესტონეთი	10	0	10	20	45	20	15
ირლანდია	145	250	120	45	25	25	10
საბერძნეთი	1 915	2 395	1 340	850	795	590	820
ესპანეთი	635	595	440	355	290	245	390
საფრანგეთი	0	410	400	285	390	400	905
ხორვატია	NA	NA	NA	NA	NA	0	0
იტალია	265	245	370	335	445	395	420
კვიპროსი	280	275	280	325	295	160	90
ლატვია	15	5	5	15	70	75	65
ლიტვა	30	80	55	130	265	220	175
ლუქსემბურგი	NA	0	0	5	5	5	10
უნგრეთი	15	30	30	35	45	65	45
მალტა	0	0	0	0	10	10	10
ნიდერლანდები	95	140	280	160	NA	NA	NA
ავსტრია	490	895	450	345	410	340	390
პოლონეთი	20	255	75	95	210	215	210
პორტუგალია	NA	40	40	45	50	35	25
რუმინეთი	0	20	20	30	10	10	15
სლოვენია	5	0	0	0	0	0	0
სლოვაკეთი	230	130	85	40	65	55	15
ფინეთი	10	20	55	65	15	10	20
შვედეთი	NA	345	270	240	505	405	795
გაერთიანებული სამეფო	125	135	105	90	110	80	70
ისლანდია	0	0	NA	NA	NA	NA	NA
ლიხტენშტეინი	0	0	0	0	0	0	0
ნორვეგია	5	0	NA	10	15	35	40
შვეიცარია	NA	0	0	205	200	245	220

წყარო: Eurostat-ის მონაცემები. უკანასკნელად განახლებულია 2015 წლის 20 აგვისტოს, მოძიებულია 2015 წლის 9 ოქტომბერს.

ეს მონაცემები ასევე გვაჩვენებს, რომ არ შეიძლება მთლიანად გამოირიცხოს პოლიტიკური ფაქტორები და ქვეყნების შიგნით იძულებით გადაადგილების შედეგები, რასაც, მაგალითად, გვაფიქრებინებს 2009 და 2012 წლებში (სამხედრო კონფლიქტები რუსეთის ფედერაციასთან) მიგრაციის არარეგულარული ნაკადების გამოვლენილი პიკური მაჩვენებლები.

2.1.4. უფიზო რეჟიმის პოტენციური შედეგები

მოსალოდნელია, რომ მგზავრობის გამარტივებული პროცედურები განაპირობებს საქართველოდან ევროკავშირში და პირიქით ცირკულარული მიგრაციული ნაკადების ზრდას, თუმცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია არ გამოიწვევს მასობრივ მიგრაციას. უფრო სავარაუდოა, რომ მან ხელი შეუწყოს რეგულარულ დროებით და ცირკულარულ მიგრაციას და განამტკიცოს ხალხებს შორის კავშირები. თუ შემოღებული იქნა ევროკავშირთან/შენგენის სივრცესთან უვიზო რეჟიმი, ქართველ მიგრანტთა ნაკადები სავარაუდოდ უფრო თვითრეგულირებადი და რეგულირებადი გახდება. რაც შეეხება შრომით მიგრაციას, როდესაც არ იქნება მოთხოვნა კონკრეტულ პროფესიებზე, საქართველოს მოქალაქეები ან თავს შეიკავებენ ევროკავშირის ქვეყნებში შესვლისგან, ან დატოვებენ ევროკავშირის ტერიტორიას და არ შეეშინდებიან, რომ ველარ დაბრუნდებიან, თუკი უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობები გამოუჩნდებათ.

გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობის შედარებით მცირე რაოდენობის (5 მილიონზე ნაკლები) გამო მიგრაციის ნაკადები სავარაუდოდ შედარებით მცირე იქნება. ასევე, არ არსებობს პირდაპირი სახმელეთო საზღვარი საქართველოსთან, ხოლო პირდაპირი ფრენები საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის არ არის ბევრი.

რაც შეეხება არარეგულარული მიგრაციის ტენდენციებს, ევროკავშირში მოხვედრის მეთოდების სახით ქართველები მიმართავენ როგორც ევროკავშირის ტერიტორიაზე ლეგალურად შესვლის ბოროტად გამოყენებას, ისე (ნაკლებად) საზღვრის უკანონო გადაკვეთას. იზრდება იმ ქართველების გამოვლენის შემთხვევათა რაოდენობა, რომლებიც აჭარბებენ მათ სამგზავრო ვიზაში მითითებული დროის კანონიერ ლიმიტს. ძალზე სავარაუდოა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდეგ *modus operandi* კვლავ დაკავშირებული იქნება ევროკავშირის ტერიტორიაზე ლეგალურად შესვლის ბოროტად გამოყენებასთან; თუმცა უვიზო რეჟიმის პროცედურებმა შესაძლოა შეარბილოს ეს ტენდენცია.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის საფუძველზე საქართველომ 2013 წლის შემდეგ მოახდინა თავისი მიგრაციის მართვის პოლიტიკის მოდერნიზება და განახორციელა რიგი სისტემური რეფორმებისა იმიგრაციისა და ემიგრაციის კონტროლის მიზნით. საქართველოს ხელისუფლებამ ასევე შეიმუშავა მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიები სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, აქცენტით ევროკავშირში ლეგალურად ნებადართული ყოფნის ვადის დარღვევის უარყოფით შედეგებზე, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში შესვლის აკრძალვაზე, და ასევე ყურადღების გამახვილებით საქართველოში არსებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. აღნიშნული კამპანიები მიზნად ისახავდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არალეგალურად დარჩენილ ქართველთა რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანას. მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებაზე საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის პროექტიც ამახვილებს ყურადღებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციურ ემიგრანტებს კონსულტაციას უწევს ოთხი მობილურობის ცენტრი,

რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფარგლებში მოქმედებს (მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით).

უვიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისთვის თურქეთთან და ისრაელთან გვაჩვენებს, რომ ქართველი მიგრანტების ორგანიზებული მიმოსვლა ქვეყანაში კანონიერად ყოფნის სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში ზოგადად სათანადოდ, განსაზღვრული დებულებების საფუძველზე ხდება.

2.2. თავშესაფარი: უვიზო გადაადგილებასთან დაკავშირებული ტენდენციები და პოტენციური შედეგები

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველო თანმიმდევრულად შედიოდა იმ 15 ძირითად ქვეყანაში, რომელთა მოქალაქეები თავშესაფარს ითხოვდნენ ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში. განაცხადები თავშესაფრის შესახებ საქართველოს მოქალაქეებს ევროპის ბევრ ქვეყანაში შეჰქონდათ. თუმცა 2013 წლის შემდეგ აღინიშნა თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის კლება და 2014 წელს საქართველო 21-ე იყო ევროკავშირსა და შენგენის სივრცეში რეგისტრირებულ თავშესაფრის მაძიებელთა წარმომავლობის ქვეყნებს შორის.

მე-6 ცხრილი ქვემოთ გვაჩვენებს, რომ ევროკავშირის 28 ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელი ქართველების რაოდენობა 2013 წელს 9 090 იყო (9 815, თუ შენგენის სივრცესაც ჩავთვლით), ხოლო 2014 წელს - 8 560 (9 070 შენგენის სივრცეში თავშესაფრის მაძიებელთა ჩათვლით).

ქართველი თავშესაფრის მაძიებლები ძირითადად კონცენტრირებულნი იყვნენ მცირე რაოდენობის ქვეყნებში, რომლებიც ქართველი შრომითი მიგრანტებისთვის ყველაზე პოპულარულ საბოლოო დანიშნულების ქვეყნებს წარმოადგენენ (გარდა იტალიისა).

2008 წლიდან ქართველი თავშესაფრის მაძიებლების მიმღებ ძირითად ქვეყნებად შეიძლება ჩაითვალოს პოლონეთი, საფრანგეთი, გერმანია და საბერძნეთი; თუმცა წლიდან წლამდე დანიშნულების ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდება. 2008 წელს პირველ ადგილზე დანიშნულების ქვეყნებს შორის საბერძნეთი იყო, მას შემდეგ კი ქართველი თავშესაფრის მაძიებლების ნაკლები რაოდენობა ჰყავს მიღებული, ხოლო 2009 და 2012 წლებში პირველ ადგილზე პოლონეთი იყო. საფრანგეთისა და გერმანიის, როგორც ძირითადი მიმღები ქვეყნების, მნიშვნელობა 2008 წლის შემდეგ გაიზარდა და 2013 წელს ისინი გახდნენ ევროკავშირის ის ძირითადი ქვეყნები, რომლებიც იღებდნენ ქართველ თავშესაფრის მაძიებლებს. ეს მდგომარეობა შეიცვალა 2014 წელს: ძირითადი დანიშნულების ქვეყანა ქართველი თავშესაფრის მაძიებლებისთვის გახდა გერმანია (3 180); მას მოჰყვებოდა საფრანგეთი (1 610), შვედეთი (მუდმივი ზრდა

2008 წლიდან, 805 თავშესაფრის მაძიებლით 2014 წელს) და პოლონეთი (მიუხედავად მკვეთრი შემცირებისა 2012 წლიდან, 720 თავშესაფრის მაძიებლით 2014 წელს).

მართალია, არაერთმა ფაქტორმა შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა დანიშნულების ქვეყნის არჩევაზე, მაგრამ ჩამოყალიბებული ქართული დიასპორის არსებობა და დანიშნულების ქვეყანაში ადრინდელი მუშაობის თუ სწავლის გამოცდილება მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორებია. შესაბამისად, ქართველი მაცხოვრებლების არსებობა ხსნის ქართველი თავშესაფრის მაძიებლების გეოგრაფიულ განაწილებას, იტალიის შემთხვევის გამოკლებით, სადაც არ არის დაფიქსირებული თავშესაფარზე განაცხადების დიდი რაოდენობა.

თავშესაფრის სისტემის გარკვეული მახასიათებლები ევროკავშირის ან შენგენის სივრცის ამა თუ იმ ქვეყანაში შეიძლება ასევე გახდეს განმაპირობებელი ფაქტორები იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ ესაჭიროებათ საერთაშორისო დაცვა, მაგრამ სურთ ისარგებლონ ევროკავშირში/შენგენის სივრცეში მოხვედრის უპირატესობებით და თავშესაფრის მინიჭების პროცედურასთან დაკავშირებული სხვა სიკეთეებით.

უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფრის მინიჭებაზე განაცხადების ყველაზე დიდი დაფიქსირებული რაოდენობები ემთხვევა ქვეყანაში კონფლიქტების არსებობას. კონფლიქტები ასევე იწვევს ადამიანების იძულებით გადაადგილებას თავად საქართველოს ფარგლებშიც¹² და განაპირობებს მოქალაქეთა გაზრდილი ნაკადების მიერ კონფლიქტისთვის თავის არიდებას და ევროკავშირის ქვეყნებში წასვლას თუ წასვლის სურვილს. ქართველი თავშესაფრის მაძიებლების პიკური ციფრები დაფიქსირებულია კრიზისის პერიოდებში, მაგალითად, 2003 წელს (ვარდების რევოლუციის შემდეგ), 2008-2009 წლებში (11 185 თავშესაფრის მაძიებელი) და 2012 წელს (10 830 თავშესაფრის მაძიებელი). მონაცემები გვიჩვენებს კლების ტენდენციას 2013 წლის შემდეგ, რისი მიზეზიც საქართველოში ამჟამად არსებული სტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა.

ცხრილი 6: თავშესაფრის მაძიებლები მოქალაქეობის მიხედვით (საქართველო), 2008-2014

ევროკავშირის სახელმწიფოები და სივრცე	წერი შენგენის	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ევროკავშირი (28 ქვეყანა)		5 015	10 500	6 865	7 060	10 830	9 090	8 560

¹² საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში რეგისტრირებულია სეპარატისტული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული 266 835-მდე პირი. იხ. აგრეთვე, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემები - <http://www.unhcr.org/pages/49e48d2e6.html>

ბელგია	275	385	365	400	505	370	430
ბულგარეთი	5	15	15	5	5	5	0
ჩეხეთის რესპუბლიკა	40	35	10	15	10	15	20
დანია	25	15	15	15	75	65	105
გერმანია	285	640	750	525	1 430	2 485	3 180
ესტონეთი	0	5	0	5	35	10	5
ირლანდია	180	90	55	15	20	15	20
საბერძნეთი	2 240	2 170	1 160	1 120	895	535	350
ესპანეთი	60	35	50	10	10	10	20
საფრანგეთი	460	540	1 435	1 740	2 680	2 695	1 610
ხორვატია	NA	NA	NA	NA	NA	0	0
იტალია	65	85	80	30	65	105	90
კვიპროსი	120	75	40	15	10	0	10
ლატვია	15	0	0	175	105	145	175
ლიტვა	10	75	250	230	310	120	115
ლუქსემბურგი	0	0	5	15	5	20	10
უნგრეთი	160	115	70	20	10	40	40
მალტა	5	0	0	0	0	0	0
ნიდერლანდები	75	425	610	235	250	215	335
ავსტრია	510	975	370	260	300	255	415
პოლონეთი	70	4 180	1 085	1 735	3 235	1 240	720
პორტუგალია	5	0	5	5	5	0	0
რუმინეთი	55	40	10	25	0	25	5
სლოვენია	0	0	5	0	0	0	0
სლოვაკეთი	120	100	65	65	55	35	15
ფინეთი	10	20	55	70	30	15	40
შვედეთი	225	370	290	280	750	620	805
გაერთიანებული სამეფო	NA	100	85	45	30	50	55
ისლანდია	5	0	0	5	10	5	5
ლიხტენშტეინი	0	0	0	0	0	0	0
ნორვეგია	20	45	85	50	110	65	35
შვეიცარია	480	640	640	400	725	655	465
სულ	5 520	11 185	7 595	7 515	11 675	9 815	9 070

წყარო: Eurostat-ის მონაცემები. უკანასკნელად განახლებულია 2015 წლის 9 სექტემბერს, მოძიებულია 2015 წლის 12 ოქტომბერს.

მონაცემები ცხადყოფს მინიჭების/აღიარების 5.5%-იან კოეფიციენტს, რაზეც მიუთითა Eurostat-მა 2014 წელს. მინიჭების/აღიარების ესოდენ დაბალი კოეფიციენტი მიგვანიშნებს, რომ ქართველი თავშესაფრის მაძიებლების უმეტესობას არა აქვს მყარი საფუძველი დაცვისთვის, მაგრამ მინიჭების/აღიარების კოეფიციენტი განსხვავდება ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში დაცვაზე ქართველი თავშესაფრის მაძიებლების საჭიროების სხვადასხვაგვარი აღქმიდან გამომდინარე. 2014 წელს ევროკავშირში პირველ ინსტანციაში 6 135 განაცხადზე გამოტანილი იქნა 335 პოზიტიური გადაწყვეტილება (2015 წლის ოქტომბრის მონაცემები). პოზიტიური გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი გამოტანილი იქნა საფრანგეთში 195 განაცხადზე, რაც წარმოადგენს მთლიანად

ევროკავშირში/შენგენის სივრცეში გამოტანილ პოზიტიურ გადაწყვეტილებათა 56%-ს.

ცხრილი 7: პირველ ინსტანციაში გამოტანილი გადაწყვეტილებები განაცხადებზე მოქალაქეობის მიხედვით (საქართველო), 2012-2014, პოზიტიური გადაწყვეტილებით 2014 წელს, ქვეყნების მიხედვით

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და შენგენის სივრცე	2012	2013	2014	პოზიტიური გადაწყვეტილება 2014 წელს
ევროკავშირი (28 ქვეყანა)	6 850	6 350	6 135	335
ბელგია	540	230	285	25
ბულგარეთი	0	0	0	0
ჩეხეთის რესპუბლიკა	10	20	20	0
დანია	25	40	30	0
გერმანია	585	1,380	1,035	10
ესტონეთი	25	0	5	0
ირლანდია	15	15	10	5
საბერძნეთი	1 120	855	1 090	10
ესპანეთი	10	10	20	0
საფრანგეთი	2 585	2 335	2 610	195
ხორვატია	0	0	0	0
იტალია	35	110	60	25
კვიპროსი	5	5	5	0
ლატვია	45	30	40	0
ლიტვა	230	70	35	0
ლუქსემბურგი	0	5	0	0
უნგრეთი	5	15	20	5
მალტა	0	0	0	0
ნიდერლანდები	245	150	285	5
ავსტრია	285	215	NA	NA
პოლონეთი	490	435	170	40
პორტუგალია	0	0	0	0
რუმინეთი	5	15	5	0
სლოვენია	0	0	0	0
სლოვაკეთი	10	0	5	0
ფინეთი	15	5	10	0
შვედეთი	530	385	360	15
გაერთიანებული სამეფო	25	20	40	0
ისლანდია	0	5	5	0
ლიხტენშტეინი	0	0	0	0
ნორვეგია	80	60	30	0
შვეიცარია	450	475	275	10
სულ	7 380	6 890	6 445	345

წყარო: Eurostat-ის მონაცემები. უკანასკნელად განახლებულია 2015 წლის 18 სექტემბერს, მოძიებულია 2015 წლის 12 ოქტომბერს.

2.2.1. უვიზო რეჟიმის პოტენციური შედეგები

არსებობს იმის ალბათობა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შედეგად თავშესაფარზე განაცხადების რაოდენობა საქართველოს მოქალაქეებისგან გააგრძელებს კლებას, ვინაიდან თავშესაფრის მოპოვების პროცედურის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს ნაკლებად აუცილებლად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ან შენგენის სივრცესთან ასოცირებულ სახელმწიფოებში ყოფნისთვის.

და პირიქით, ამჟამინდელი ნაკადების კონტექსტში უვიზო რეჟიმის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის ზრდა ლეგალური მგზავრობის არხების გახსნის შედეგად, რაც თავშესაფრის მოპოვების პროცედურას უფრო ხელმისაწვდომს გახდის.

აღნიშნულ კონტექსტში შესაძლებელია ასევე გაიზარდოს ქართველი თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობა, თუ ის ქართველები, ვინც აჭარბებს ევროკავშირის ქვეყანაში ყოფნის ნებადართულ ვადას, შეიტანენ განცხადებას საერთაშორისო დაცვის საჭიროებაზე ევროკავშირში მათი ყოფნის ლგალიზების საშუალების სახით.

როგორც უკვე ითქვა, Frontex-ი აღნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის შემთხვევათა გამოვლენისას ისინი, ჩვეულებრივ, ითხოვენ თავშესაფარს, თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში მოთავსებისგან თავის არიდების მცდელობით, რათა გააგრძელონ გზა საბოლოო დანიშნულების თავიანთი პრიორიტეტული ქვეყნებისაკენ.

რაც შეეხება შენგენის სივრცის წევრ სახელმწიფოთა თავშესაფრის სისტემების შესაძლო ბოროტად გამოყენებას საქართველოს მოქალაქეების მიერ, მიუხედავად მინიჭების/აღიარების დაბალი კოეფიციენტისა, საქართველოს შეტანა წევრ სახელმწიფოთა სივრცეში, სადაც ფიქსირდებიან წარმომავლობის უსაფრთხო ქვეყნები, შესაძლოა კიდევ ერთი საშუალება აღმოჩნდეს თავშესაფრის სისტემების ბოროტად გამოყენების პრევენციისათვის. საქართველო ასევე ეფექტიანად ახორციელებს ევროკავშირთან გაფორმებულ რეადმისიის შეთანხმებას.

თუმცა თავშესაფარზე განაცხადებთან დაკავშირებული სხვა დამაფიქრებელი საკითხები ეხება საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ხანგრძლივ ცხოვრებას: მათთვის ევროკავშირში ემიგრაცია შესაძლოა სამომავლო ვარიანტი იყოს, თუ არ მიიღებენ საკმარის მიზნობრივ სახელმწიფო სოციალურ დახმარებას (ოჯახებისა და ბავშვების დახმარებას, იურიდიულ დახმარებას, განათლებისა და დასაქმების წინადადებებს, საპენსიო ფონდების გარანტიას და ა.შ.). იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის გარანტირების, ასევე მათი რეინტეგრაციის მიზნით და პრობლემის ხანგრძლივი გადაწყვეტის

უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ 2007 წელს მიიღო იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია, რომლის განხორციელებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ხელმძღვანელობს. გრძელვადიანი სტრატეგია ითვალისწინებს დევნილთათვის საცხოვრებლით, სოციალურ და დასაქმებაში დახმარებას.

მონაცემები ცხადყოფს, რომ ახალმა პოლიტიკურმა კრიზისმა ან შეიარაღებულმა კონფლიქტმა შესაძლოა გამოიწვიოს ევროკავშირისა და შენგენის სივრცეში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მყისიერი ზრდა. თუმცა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ინფორმაციით, საქართველოსა და რუსეთს შორის კიდევ ერთი ძალადობრივი შეიარაღებული კონფლიქტის აღბათობა დაბალია და ამიტომ არ არსებობს მიზეზი იმისთვის, რომ უახლოეს მომავალში ველოდეთ საქართველოდან ლტოლვილთა/თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის სწრაფ ზრდას.

3. უსაფრთხოებაზე სხვადასხვა ზეგავლენის შეფასება

3.1. ორგანიზებული დანაშაული: ტენდენციები და უვიზო გადაადგილების პოტენციური შედეგები

კვლევის “Transcrime“ („ტრანსსასაზღვრო დანაშაული“) მიხედვით, რომელიც გამოსაცემად შინაგან საქმეთა გენერალურმა დირექტორატმა მოამზადა¹³, ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები უკვე არსებობენ და აქტიურად მოქმედებენ ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში. ეს ჯგუფები ფართოდ არიან ევროპაში ოფიციალურად წარმოდგენილები ლეგალურ ეკონომიკაში ინვესტიციების თვალსაზრისით.

ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები, მათ შორის „კანონიერი ქურდები“, ინვესტიციებს ახორციელებენ ძირითადად მშენებლობაში, ტრანსპორტირებასა და ლოგისტიკაში, უძრავ ქონებაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, სასტუმროებში, ბარებსა და რესტორნებში. ლეგალურ ეკონომიკაში მათი საქმიანობა ხშირად დაკავშირებულია მათი კრიმინალური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების გათეთრების სქემებთან.

ევროპაში აქტიური ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები მონაწილეობენ ქონებასთან დაკავშირებულ ორგანიზებულ დანაშაულში, ნარჩენების მართვაში, საგადახდო ბარათების გაყალბებაში, ფულის გათეთრებაში, დოკუმენტების გაყალბებაში, არარეგულარული მიგრაციის ხელშეწყობაში, გამოძალვაში/რეკეტში და ნარკოტიკებით ვაჭრობაში, თუმცა მათი კრიმინალური

¹³ კვლევა “Transcrime“: „არალეგალური ბაზრებიდან კანონიერ ბიზნესამდე: ევროპაში ორგანიზებული დანაშაულის პორტფოლიო“ (გამოქვეყნებულია 2015 წლის მარტში).

საქმიანობა მოიცავს ასევე ქურდობას, ყაჩაღობას, ჯიბის ქურდობას, ადამიანებით ტრეფიკინგს, სიგარეტის კონტრაბანდას, ევროს გაყალბებას, მკვლელობას და ზოგადად კორუფციას.

გარდა ამისა, ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები აკონტროლებენ კრიმინალური ბაზრების საკმაოდ დიდ ნაწილს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. რუსული ენის ცოდნა და საერთო წარსული უადვილებს მათ რეგიონში სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობას.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან ერთად ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებისთვის არსებული ბაზარი, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეთა არარეგულარულ მიგრაციას ევროკავშირში, სავარაუდოდ შემცირდება, რაც ამ ჯგუფებს აიძულებს, ეძებონ ახალი შესაძლებლობები. მიუხედავად ამისა, ძალზე სავარაუდოა, რომ გაფართოებული მობილურობის შედეგად ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები შეეცდებიან, გამოიყენონ გადაადგილების თავისუფლება, რათა ხელი შეუწყონ ეთნიკური უმცირესობებისა თუ იმ სხვა მეზობელი ერების არარეგულარულ მიგრაციას, რომლებზეც არ გავრცელდება ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი¹⁴, მაგალითად, ქართული ბიომეტრიული პასპორტების გაყალბების მეშვეობით (მიუხედავად საქართველოს მხრიდან ინტერპოლთან თანამშრომლობისა¹⁵). თუმცა მინიმალური რისკი არსებობს იმისა, რომ მესამე ქვეყნების მოქალაქეები საქართველოს გამოიყენებენ როგორც სატრანზიტო ქვეყანას შენგენის სივრცემდე მისაღწევად და თავშესაფრის მიღების შესახებ განაცხადს შეიტანენ, იმ ფაქტის გამო, რომ საქართველომ დანერგა ქმედითი მექანიზმები არა მარტო არარეგულარული მიგრანტების გამოვლენისა და მართვისათვის, არამედ თავის ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და დაცვისათვის. 2015 წელს თავშესაფრის მაძიებლები ძირითადად ერაყიდან და უკრაინიდან იყვნენ (სულ დაახლოებით 900 განმცხადებელი).¹⁶

გარდა ამისა, ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებმა შეიძლება მოახერხონ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და შენგენის სივრცის თავშესაფრის სისტემების და საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ამ ქვეყნებში ხანგრძლივად ყოფნის ლეგიტიმურობის ბოროტად გამოყენება (ანუ შესვლის/გასვლის გაყალბებული ბეჭდით სარგებლობა).

¹⁴ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებნი, რომლებმაც შეიტანეს განაცხადი და მიიღეს ქართული სამგზავრო დოკუმენტები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ისარგებლებენ უვიზო რეჟიმის სიკეთეებით.

¹⁵ საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ინტერპოლის ეროვნულ ბიუროებთან.

¹⁶ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2015 წლის სექტემბერში მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციამ ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებს შესაძლოა ახალი შესაძლებლობებიც წარმოუქმნას, ვინაიდან ისინი მოახერხებენ საკუთარი საქმიანობისა და ინვესტიციების მოქნილად განხორციელებას და გარემოებებთან ადაპტირებას. შესაბამისად, უვიზო რეჟიმმა შესაძლოა ხელი შეუწყოს სხვადასხვა საქონლის ან უკანონო საქონლის (ანუ ძვირფასი ლითონებისა და თვლების) კონტრაბანდას სამხრეთი კავკასიის მარშრუტით.

საქართველოს ხელისუფლება მზად არის იმ რისკებთან გასამკლავებლად, რომლებსაც მას ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები და „კანონიერი ქურდები“ უქმნიან: მან ჩამოაყალიბა აუცილებელი საკანონმდებლო ჩარჩო და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც სწორედ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაინერგა; ამის მაგალითებია ოპერატიული და სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარება პოლიციის უწყებათა საერთაშორისო თანამშრომლობის გზით¹⁷ ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ისეთი მექანიზმების შემოღება, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველომ ასევე მოახდინა „კანონიერი ქურდის“ სტატუსის კრიმინალიზება, რაც, *inter alia*, ნიშნავს, რომ ის ქართველი „კანონიერი ქურდები“, რომელთა ვინაობა ცნობილია, ვერ მიიღებენ ქართულ ბიომეტრიულ პასპორტებს.

3.2. ადამიანებით ტრეფიკინგი: ტენდენციები და უვიზო გადაადგილების პოტენციური შედეგები

საქართველო წარმოადგენს ადამიანებით ტრეფიკინგის წყაროს, სატრაზიტო და დანიშნულების ქვეყანას. საშიშროება ევროკავშირისთვის დაბალი რჩება, ვინაიდან საქართველო არ არის დაფიქსირებული არც მსხვერპლთა და არც ევროკავშირში იდენტიფიცირებულ ექვმიტანილ ადამიანებით მოვაჭრეთა წარმომავლობის უმთავრეს ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს შორის.

3.3. იარაღი და ნარკოტიკებით ვაჭრობა: ტენდენციები და უვიზო გადაადგილების პოტენციური შედეგები

არ არსებობს მტკიცებულებები იმისათვის, რომ ვივარაუდოთ, რომ ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები მონაწილეობენ ევროკავშირში იარაღით უკანონო ვაჭრობაში. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული წყაროების ინფორმაციით,

¹⁷ დღემდე საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულება დანაშაულთან ბრძოლის და პოლიციის უწყებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ 25 ქვეყანასთან და 16 საერთაშორისო ხელშეკრულება კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლის და ურთიერთდაცვის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა პოლიციის ატაშეებთან, რომლებიც წარმოდგენილები არიან საქართველოში, ან სხვა ქვეყნიდან კურირებენ საქართველოს.

ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფები შესაძლოა ჩართულები იყვნენ იარაღით უკანონო ვაჭრობაში ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონში.

რაც შეეხება ნარკოტიკებით ვაჭრობას, სამხრეთი კავკასიის მარშრუტი გამოიყენება ჰეროინის კონტრაბანდით გადატანისას ირანიდან და ავღანეთიდან ევროკავშირისკენ ალტერნატიული სატრანზიტო კვანძის სახით. შავი ზღვის გადაკვეთის შემდეგ ჰეროინი კონტრაბანდულად გადააქვთ დასავლეთი ევროპის ქვეყნებში. ამიტომ საბორნე მიმოსვლის პუნქტებმა ნარკოტიკებით მოვაჭრეთათვის შეიძლება კონტრაბანდით გადატანის შესაძლებლობები წარმოქმნას და საჭირო იქნება მეტი ყურადღება, განსაკუთრებით, თუ მომავალში უკრაინის მოქალაქეებისთვისაც შესაძლებელი გახდება შენგენის სივრცეში უვიზო გადაადგილება.

უვიზო რეჟიმმა ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებს შეიძლება მისცეს ახალი არხები და საშუალებები ნარკოტიკების კონტრაბანდულად გადატანისთვის შავის ზღვის მარშრუტის გამოყენებით. ასევე, საქართველოდან ევროკავშირში მიმავალი მგზავრების რაოდენობის ზრდასთან ერთად ისინი კურიერებად შეიძლება იქნენ გამოყენებულნი.

თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ნიშნულთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლებამ განავითარა ინფრასტრუქტურა და კონტროლის შესაძლებლობები, დანერგა ადამიანური რესურსების ტრენინგები და რისკების მართვის სისტემა რისკების სახეობების დადგენისათვის სავარაუდო დამნაშავეების, მათი სატრანსპორტო საშუალებებისა და საექვო გარიგებების წინასწარ იდენტიფიცირების მიზნით. ინფორმაცია ტვირთების შესახებ შეჰყავთ სისტემაში სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე. რისკების მართვის სისტემა ავტომატურად ამუშავებს ინფორმაციას და რისკის გამოვლენის შემთხვევაში საბაჟო უწყების თანამშრომელი იღებს ელექტრონულ გზავნილს იმის შესახებ, რომ საჭიროა ტვირთის უფრო საფუძვლიანი შემოწმება და ეს თანამშრომელი ატარებს შემოწმებას ისე, როგორც ეს რისკის კონკრეტული სახეობისთვის არის განსაზღვრული.

4. უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული ძირითადი დასკვნების შეჯამება

უახლესი მონაცემები და ხელმისაწვდომი ინფორმაცია მიუთითებს მიგრაციისა და უსაფრთხოების სფეროებში მოვლენების ყველაზე მეტად სავარაუდო განვითარებაზე, ასევე იმაზე, რომ ევროკავშირი რჩება მიმზიდველ ადგილად მიგრანტებისათვის საქართველოდან. შესაბამისად, საჭიროა მიგრაციასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური გამოწვევების მონიტორინგი.

4.1. ძირითადი პოტენციური შედეგები მიგრაციის ტენდენციებისთვის

- (ა) 2013 წელს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში არალეგალურად ცხოვრობდა საქართველოს დაახლოებით 66 000 მოქალაქე. ყველაზე ბოლოდროინდელი ტენდენციები გვაჩვენებს ევროკავშირში მიგრაციისადმი მზარდ ინტერესს. საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია შეამცირებს შენგენის სივრცეში მგზავრობასთან დაკავშირებულ ბარიერებს, ხელს შეუწყობს არსებული რეგულარულ დროებით და ცირკულარულ მიგრაციას და განამტკიცებს ხალხებს შორის კონტაქტებს. თუმცა საქართველოს შედარებით მცირერიცხოვანი მოსახლეობის გათვალისწინებით ეს ნაკადები დაბალ დონეზე უნდა დარჩეს. საქართველო არ შედის ევროკავშირში მიგრანტთა წარმომადგენლობის ძირითადი ქვეყნების რიცხვში.
- (ბ) თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ პერსპექტივებს, ევროკავშირი მიმზიდველი ადგილია საქართველოდან წასული შრომითი მიგრანტებისათვის. გარდა ამისა, ძალზე სავარაუდოა, რომ გაიზრდება მოთხოვნა ბინადრობის ნებართვებზე. იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ემიგრაციის ნაკადები, საქართველომ უახლოეს მომავალში ფართო ეკონომიკური შესაძლებლობები უნდა უზრუნველყოს. საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალშიც უნდა იყოს ეკონომიკური განვითარება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეებზე.
- (გ) მუდმივად იცვლება ქართველი უკანონო მიგრანტების *modus operandi*, ვინაიდან შენგენის სივრცეში მოხვედრის მეთოდების სახით ისინი მიმართავენ როგორც საზღვრის უკანონო გადაკვეთას და თავშესაფრის მინიჭებაზე განაცხადების შეტანას, ისე ევროკავშირის ტერიტორიაზე ლეგალურად შესვლის ბოროტად გამოყენებას, როგორც ამას ცხადყოფს იმ ქართველების გამოვლენის შემთხვევათა რაოდენობის ზრდა, რომლებიც აჭარბებენ მათ სამგზავრო ვიზაში მითითებული დროის კანონიერ ლიმიტს. ძალზე სავარაუდოა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემთხვევაში *modus operandi* კვლავ დაკავშირებული იქნება ევროკავშირის ტერიტორიაზე ლეგალურად შესვლის ბოროტად გამოყენებასთან; თუმცა უვიზო რეჟიმის პროცედურებმა შესაძლოა შეარბილოს ეს ტენდენცია.
- (დ) არსებობს იმის ალბათობა, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შედეგად საქართველოს მოქალაქეებისგან თავშესაფარზე განაცხადების რაოდენობა გააგრძელებს კლებას, ვინაიდან თავშესაფრის მოპოვების არხი აღარ ჩაითვალება საუკეთესო გზად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შესასვლელად. მეორე მხრივ, მიუხედავად მინიჭების/აღიარების საშუალოდ დაბალი კოეფიციენტის და თავშესაფარზე განაცხადების რაოდენობის კლების ამჟამინდელი ტენდენციისა, უვიზო რეჟიმის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობის ზრდა ლეგალური გადაადგილების არხების გახსნის შედეგად, რაც თავშესაფრის მოპოვების პროცედურას უფრო ხელმისაწვდომს გახდის. არსებობს ასევე იმის შესაძლებლობაც, რომ თავშესაფრის პროცედურა გამოყენებული იქნეს ევროკავშირის ყოფნის კანონიერი ვადის გადაჭარბების ლეგალიზების მეთოდის სახით დაბრუნების პროცედურების თავიდან აცილების მიზნით.

- (ე) შეიარაღებული კონფლიქტებისა თუ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრების შედეგად, როგორც ეს წარსულში მოხდა, შენგენის სივრცე იქნება მიმზიდველი ადგილი თავშესაფრის მაძიებელთათვის და ამიტომ არ უნდა გამოვრიცხოთ თავშესაფარზე განაცხადების რაოდენობის და ემიგრაციის სწრაფი ზრდა ახალი შეიარაღებული კონფლიქტისა და ამ კონფლიქტს გაქცეული იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობის შემდგომი ზრდის შედეგად.

ზეგავლენის შემსუბუქების ზომები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ლეგალური მიგრაციის არხების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად:

- უფრო აქტიურად იმუშაონ საქართველოს ხელისუფლებასთან ცირკულარული/დროებითი/სეზონური მიგრაციის სქემების დანერგვაზე ევროკავშირში საქართველოს იმ მოქალაქეების ლეგალური მიგრაციის ხელშესაწყობად, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს;
- იმუშაონ ლეგალური არხების დასანერგად, რომელთა მეშვეობით საქართველოდან მიგრანტები, რომლებიც უკანონო მდგომარეობაში არიან, შეძლებენ მათი სტატუსის ლეგალიზებას, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს და შეესაბამებიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შრომის ბაზრების საჭიროებებს;
- უზრუნველყონ შესაძლებლობები საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, რომ მათ გაიხანგრძლივონ ევროკავშირში ყოფნა სამუშაოს მიზნებისათვის;
- ითანამშრომლონ საქართველოს ხელისუფლებასთან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ქართველი შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის ზოგადად გასაუმჯობესებლად, კერძოდ კი სოციალური შემწეობების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანის (social benefit transfer system) სისტემის ჩამოსაყალიბებლად;
- გადასინჯონ თავშესაფრის შესახებ განაცხადების დამუშავებისადმი მიდგომა და პროცედურები, განსაკუთრებით ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც განსაკუთრებით დიდია თავშესაფარზე განაცხადების რაოდენობა, რათა შეამსუბუქონ თავშესაფრის მიღების სიკეთეებით ბოროტად სარგებლობა. გააგრძელონ ევროკავშირთან გაფორმებული რეადმისიის შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება თითოეული წევრი სახელმწიფოს დონეზე.

4.2. ძირითადი პოტენციური შედეგები უსაფრთხოების ტენდენციებისთვის

- (ა) საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციამ არ უნდა გამოიწვიოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის უსაფრთხოების მხრივ

რისკების რაიმე მნიშვნელოვანი ზრდა არსებულ სიტუაციასთან შედარებით. დანერგილია ღონისძიებები პოტენციური შედეგების შესამსუბუქებლად და შემდგომში მათ მოსაგვარებლად.

- (ბ) არ არის სავარაუდო, რომ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციამ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფების საქმიანობაში. ამ ჯგუფებს უკვე ნაპოვნი აქვთ გზები გადაადგილების შეზღუდვების გვერდის ასავლელად და ისინი უკვე აქტიურად მოქმედებენ ევროკავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოში.
- (გ) მიუხედავად ამისა, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციამ შესაძლოა გარკვეულწილად ხელი შეუწყოს ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფების კრიმინალურ საქმიანობას საქართველოდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში საქონლისა და ნარკოტიკების ტრეფიკინგის თვალსაზრისით, რაგან მათ სავარაუდოდ ამ მიზნით შეიძლება გამოიყენონ საქართველოდან ევროკავშირში მიმავალი ადამიანები.
- (დ) ქართული ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებისთვის არსებული ბაზარი, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირში საქართველოს მოქალაქეთა არარეგულარულ მიგრაციას, სავარაუდოდ შემცირდება, რაც აიძულებს ამ ჯგუფებს, ეძიონ ახალი შესაძლებლობები, მაგალითად, შეეცადონ ეთნიკური უმცირესობებისა თუ სხვა ეროვნების ადამიანებისათვის მოპარული ან გაყალბებული ქართული პასპორტების უზრუნველყოფას, ან საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში გრძელვადიანი ცხოვრების ლეგალიზების მომსახურების გაწევას.

ზეგავლენის შემსუბუქების ზომები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები უსაფრთხოებაზე საქართველოსთან უვიზო რეჟიმის სხვადასხვა პოტენციური ზეგავლენის გასაწესებლად:

- გააფორმონ ორმხრივი შეთანხმებები ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შემოიღონ შესაბამისი საკონტაქტო წერტილები პოლიციის ატაშეების განთავსების გზით;
- ქართველ კოლეგებს შესთავაზონ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში (საქართველო-ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები) მონაწილეობა, რაც მიზნად დაისახავს ცოდნისა და საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების გაზიარებას ქართველი კრიმინალების *modus operandi*-ს შესახებ;
- დანაშაულების ანალიზისათვის საჭირო საქართველოს ინსტრუმენტების გასაუმჯობესებლად და შესაბამისი ინფორმაციის გაზიარების ხელშესაწყობად დააჩქარონ EUROPOL-თან ხელშეკრულების გაფორმების პროცესი.